საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფუფლებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 26 [illegible] №79 (9005) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ცხვირ-პირში მოხვდებათ სიმართლის მუშტი!

დიახ, ყველა კითხვას გაეცემა შესაბამისი პასუხი და ყველას ცხვირ-პირში მოხვდება სიმართლის მუშტი! – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ განაცხადა.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ახალი პროექტის პირველი ვიდეოჩართვა წუხელ, 22:00 საათზე დაიწყო.

კახა კალაძემ დეზინფორმაციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო!

კალაძის თქმით, საზოგადოებას მიეწოდება სწორი ინფორმაცია იმ სიცრუეზე, რაც დედაქალაქის მუნიციპალიტეტის და პირადად მისი მისამართით ისმის.

რა თქმა უნდა, ჩემთვის პირადად, ჩემი თანაგუნდელებისთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მამოძრავებელი არის, რომ ჩვენ ვართ დაკავებული ჩვენი საქმიანობით და 24-საათიან რეჟიმში ვზრუნავთ იმაზე, თუ რა პროექტები გაკეთდეს, როგორ გამოსწორდეს პრობლემები და როგორ ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც არსებობს დედაქალაქში. ვხვდებით, რომ არჩევნები ახლოვდება და ეს კონკრეტული პოლიტიკოსები თუ მათი ტელევიზიები, ცდილობენ, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში, რაშიც ჩვენ, რა თქმა უნდა, ხელს შევუშლით და ამის შესაძლებლობას მათ არ მივცემთ!

აუცილებლად გვიყურეთ, რომ გქონდეთ სწორი ინფორმაცია ყველა იმ სიცრუეზე, ყველა იმ სიბინძურეზე, რაც დედაქალაქის მუნიციპალიტეტის და პირადად ჩემი მისამართით ისმის. ყველა კითხვას გაეცემა შესაბამისი პასუხი და ყველას ცხვირ-პირში მოხვდება სიმართლის მუშტი!..

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავა გახდა

მერაბ ტურავას პლენუმის 9 წევრიდან ხუთმა მოსამართლემ დაუჭირა მხარი. თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატი ირინე იმერლიშვილი იყო, მან ოთხი ხმა მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია 15 ივნისიდან არის თავისუფალი, როცა ზაზა თავაძეს მოსამართლის უფლებამოსილება ამოეწურა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ხუთი წლის ვადით ირჩევენ (მოსამართლეს 10 წლის ვადით).

რა მოხდა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში? 5

3 ბანდიტი – პოლიტ-პატიმარი?!..

რას იწონის უნამუსობა,

ანუ პოლიტიკური კანიბალიზმი?!..

ბოზობა მასაჟთან ერთად და ქვეყნის დამაზიანებელი ათასი ოხრობა თუ მამაძაღლობა. და ეს ყველაფერი ჰუმანიზმისა და დემოკრატიის სახელით.

გუშინ დილით სრულიად შემთხვევით ჩავრთე „პალიტრა ნიუსის“ არხი და დავინახე, რომ ძლივს ეტეოდა ეკრანზე ვიღაცის ბომბორა ტან-სხეული. მკითხველისთვის, ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვინც იქნებოდა, ტელევიზორის ეკრანის გადამფარველი თუ შემვსები მავანი პოლიტიკოსი, რომელსაც სენადეს მიღების მერე განავალთან ერთად უნიტაზში აქვს ჩაქცეული თავისი სინდის-ნამუსი. და, მოგეხსენება, ჩემო გონიერო მკითხველო, რომ ვინც სინდის-ნამუსისგან დაცლილია, იმას ენის ტრაწი ემართება და ათას სისულელეს ფქვავს, რაც თავად თხევად პოლიტიკურ სიბრძნედ ეჩვენება.

უთუოდ გახსოვს, რა ძილქუში აწვა ამ ბომბორა ტან-სხეულს ამ რამდენიმე წლის წინათ პარლამენტში, როცა იქ „ოცნების“ სიით დარბაისელად გამოიჭიმა. აი, იმ ძილქუშის დროს ნახა მან მილიონიანი პოლიტიკური სიზმარი, მაგრამ, როგორც იცით, ყველა სიზმარს არ უწერია ახდენა, მით უმეტეს, პოლიტიკურს. ჰოდა, სწორედ იმ აუხსნელი სიზმრის მერე ამყრალდა ისედაც უკვე პოლიტიკურად თუ სოციალურად აყროლებული ბომბორა და გუშინდელი ყოვლის უკეთესი ქველმოქმედი თვალის დახამხამებაში ცბიერი, დაუნდობელი და მზაკვარი გახადა, ხოლო მართლაც ცრუ, მზაკვარ, დაუნდობელსა და მავნებელ ნაპრეზიდენტალს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელისა და სხვათა ქვეყანაში ბედის მაძიებელს, ანგელოზის ფრთები გამოასხა, რომელი ანგელოზისგან მილიონი დოლარის მოლოდინში იკადრა, მაგრამ რაღა არ იკადრა!

თვინიერ ფრთებისა, ამ ანგელოზს ისეთი უსათნოესი თვისებები მიაკერა, რა თვისებებიც თურმე მსოფლიოში პოლიტიკოსთაგან არც არცვის არასოდეს არ ჰქონია, არცა აქვს და არც ექნება; მაინც ვინ არის? ვინ არის ყველაზე დიდი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე, მშვიდობისმყოფელი, ყველაზე დიდი დემოკრატი, დიდი მამულიშვილი, ხალხისთვის თავგადადებული, რომელსაც სისხლის დანახვაზე თურმე გული მისდის. ერთი სიტყვით, რაღა დავით აღმაშენებელი და რაღა ეს ახალი დროის იულიუს კეისარი!

არადა, განა არის ისეთი ვინმე, რომ არ ახსოვდეს, რა და რამდენი ბოროტება აქვს ჩადენილი ამ „ანგელოზს“ თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ჯერ მარტო 2008 წლის აგვისტოს ომი ვთქვათ. გამთენიის ჟამს თავს დაესხა ჩვენსავე მოქალაქეებს... ამ ხუთდღიანმა ომმა ასობით ახალგაზრდა შეიწირა აქეთაც და იქითაც, დღესაც ღაღადებენ და ხვალაც ისევ იღაღადებენ პირდაპირ ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდების სულები, დღესაც ისევ ჩივის მაშინ გაძარცული, ქონებაწართმეული ათობით ბიზნესმენი, ძველი ციხეები რომ არ იკმარა, ახალი ააშენა... არ დაიკლო არც

ჰოდა, დგას ეს მართლაც სინდისგარეცხილი, კაცობაგვალვიანი ბომბორა და გასათხოვარი ქალიშვილივით გვაწონებს ამ პოლიტიკურ კანიბალს!

არ გამოგივა, ბომბორ, ეგ შენი მავნე და უზნეო პროპაგანდა. შეეშვი პოლიტიკურ სიზმრებს და იმ არამზადის დასიზმრებებს.

შე ღიპითმეზღაპრევ, მაგ მამინაცვლის ნაცვლად იქნებ ერთხელ მამაშენი დაისიზმრო, რომელიც სხვა ქართველთა სირცხვილებს ითვლიდა და რას იფიქრებდა ის სულგანათლებული, რომ უზნეო შვილიც გაუხდებოდი ამ სათვალავში ჩასაგდები!..

გურამ წიკლაური

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 ივნისს

ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ: ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲣᲠᲡ, რᲝᲛ შᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ შᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲝᲠᲘ მᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ შᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ დᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, თᲣ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ მᲠᲐᲕᲐᲚᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ მᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ �გᲐᲕᲐ, — ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

თუ ცვლილებები პარლამენტში სრული მრავალპარტიული მხარდაჭერით გავა, ეს იქნება ერთგულების გამოხატულება დემოკრატიული პროცესის მიმართ რაც საქართველოშია და შექმნის უკეთეს პირობებს არჩევნებისთვის. ჩვენ გვესმის, რომ გარკვეული ოპოზიციური პარტიებისთვის მნიშვნელოვანია, გადაიდგას ნაბიჯები, რათა ეს დაპირებები შესრულდეს. იმედი გვაქვს, ასეც იქნება, შეთანხმება შესრულდება და კონსტიტუციური ცვლილებები დამტკიცდება და ასევე მიღებული იქნება საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა. ის ასახავს ეუთოს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვანია თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც კანონმდებლობაში ასახული არ არის და იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხებიც აისახება, რაც მისცემს ამომრჩევლებს იმის რწმენას, რომ შეუძლიათ, მათ თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში გავლენებისგან თავისუფლად და მიიღონ სანდო შედეგები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები იყოს პარლამენტის სრული მხარდაჭერით მიღებული...

ᲙᲐᲠᲚ ᲰᲐᲠᲪᲔᲚᲘ: ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი კახეთში იმყოფებოდა. გუშინ ის თელავის სმენისა და მეტყველების სახლს ესტუმრა, რომელიც ამ პრობლემების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს ემსახურება. დაწესებულება ევროკავშირის პროექტის, „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის — სოფლად სოციალური მომსახურების მომწოდებელთა მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოყოფილი გრანტის დახმარებით შეიქმნა.

გუშინვე ელჩმა ევროკავშირის „მერების შეთანხმების“ ფარგლებში დაფინანსებული სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მოინახულა. ობიექტის უპირატესობა წალმით გათბობაა, რომელიც შენობას ენერგოეფექტურს ხდის და ხარჯების დაახლოებით 60%-ს ზოგავს.

„ეს არის ერთ-ერთი იმ საფოკუსე რეგიონიდან, რომლებსაც ევროკავშირი ეხმარება სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში. უახლოეს პერიოდში ამ რეგიონში სხვადასხვა აქტივობა განხორციელდება და გვაქვს ყოვლისმომცველი მიდგომა ამ საკითხის მიმართ, რადგან ამ რეგიონების განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია. მე ვხედავ აქ ტრაქტორს, რომელიც ჩვენი პროექტის ფარგლებში შეიძინეს. სწორედ ამ ტექნიკის საშუალებით შეგროვდება ის საწვავი, რომელიც ზამთრის განმავლობაში შენობას გაათბობს. წალმის გამოყენებით, რომელიც კახეთში მრავლად არის, იქნება გათბობა უზრუნველყოფილი. ჩვენ ამით ენერგომოხმარების ეკონომიას მოვახდენთ და დაახლოებით ხარჯების 60% დაიზოგება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ენერგოეფექტურობის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში შესაბამისი კანონი გავიდა. ჩვენ სტრუქტურულ დონეზე ვმუშაობთ მთავრობასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა ჯანმრთელობისთვის. მინდა, ეს მშვენიერი ქვეყანა კიდევ უფრო მშვენიერი გახდეს“, — განაცხადა კარლ ჰარცელმა.

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲝ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ კონგრესმენი ალექს მუნი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ აზიარებს თავდაცვის დეპარტამენტის მხარდაჭერის პროგრამას პარტნიორი ქვეყნებისთვის კორონავირუსის შესამსუბუქებლად. მუნის ინფორმაციაში საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შესახებაც არის საუბარი, რომელიც აწარმოებს დიაგნოსტიკურ ტესტებს, ასევე მონაცემებსა და პროცედურებს რეგიონის სხვა პარტნიორებსაც უზიარებს.

„ვამაყობ იმ მტკიცე პარტნიორობით, რომელსაც აშშ საქართველოსთან იზიარებს. ჯანდაცვის სფეროში მსოფლიო კრიზისის განმავლობაში, ჩვენი მდგრადი პარტნიორი იყო და ავითარებდა თანმიმდევრულ ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას. რეგიონში ლიდერობს სადიაგნოსტიკო ტესტებითა და კვლევებით“, — ვკითხულობთ მუნის გამოხმაურებაში.

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ ᲠᲝᲛᲐᲜ �გᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔᲡ: ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲒᲔᲩᲮᲘᲠᲔᲑᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲘᲡ ᲛᲝᲒᲘᲜᲔᲚᲔᲑᲗ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის კრიტიკას უპასუხა.

„ბატონო რომან, თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ და ზუსტად ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი ყელში გეჩხირებათ, მაგრამ ვერ მოინელებთ. პოლიტიკურად ის იქით მოგინელებთ. ამის პირობა შემიძლია, მოგცეთ“, — მიმართა სოფო კილაძემ რომან გოცირიძეს. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ რომან გოციძემ სახალხო დამცველის ყოველწლიურ აგარიშებს ობიექტური უწოდა და აღნიშნა, რომ ის ქვეყანაში არსებულ ვითარებას აღწერს. რომან გოცირიძემ ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც ნინო ლომჯარია მოხსენებით გამოვიდა, აღნიშნა, რომ „საშინელი ვითარებაა ადამიანის უფლებების მხრივ და ეს ერთი წელი იყო ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის სიმბოლო“.

ᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ: ᲕᲐᲠᲪᲮᲜᲘᲚᲝᲑᲐ �გᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ - ᲐᲠᲐ!

„ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ უფლება არ გაქვთ, ადამიანის უფლებებზე ილაპარაკოთ“, — ამ სიტყვებით მიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს სალომე სამადაშვილს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე.

„დიდი ხანია, პოლიტიკური ხარაკირი უნდა გაიკეთოთ, მაგრამ აქ მოდიხართ და ენას ატლიკინებთ, ქალბატონო, ვითომ ვაი და ვუი დეპუტატო. განსაკუთრებულ მონა-მორჩილებაში მყოფი სადისტი და კრიმინალი სააკაშვილის სახით. დღეს ძალიან ლამაზი ვარცხნილობა გაქვთ — ალბათ, ამ მგზნებარე სიტყვის სათქმელად ემზადებოდით, ტელევიზიები დაგესეოდნენ და ალბათ განსაკუთრებულად მოემზადეთ, ხომ?! მართლა კომპლიმენტს გეუბნებით — მაღალი სტანდარტის ვარცხნილობა გაქვთ, მაგრამ მორალური და ზნეობრივი უფლება — არა.

მორალური უფლება არ გაქვთ, ადამიანის უფლებებზე ილაპარაკოთ. პოლიტპატიმრებზე საერთოდ ხმას რომ იღებთ, მართლა სირცხვილი „ქართულ ოცნებას“, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობა“, ანასხლეტი კრიმინალური რეჟიმისა, თავისი საკვანძო პირებით, ლიდერებით გამოფენილები არიან პარლამენტში და როგორც მისწორებს ბატონი ბოკერია — კი არ ვზივართ, ვსხედვართო, მე თუ მკითხავთ, თქვენ ციხეში უნდა ისხდეთ. ძალიან გთხოვთ, ხმა საერთოდ არ ამოიღოთ და ბოდიში მოუხადეთ საზოგადოებას“, — განაცხადა ადა მარშანიამ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ!

ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ!

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, ღᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛ 25 000 ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, რᲝᲛ თᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ შᲔᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲤᲐᲠᲗᲡ, წᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ 5 წᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, რᲐᲪ მᲘᲡᲪᲔᲛᲡ შᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ მᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, მᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲐ, გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ მᲐᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ მᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ პᲘრᲝᲑᲔᲑᲘᲡ გᲐᲣმჯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ შᲔᲡᲐᲮᲔᲑ, გᲐᲜᲐᲮᲝრᲪᲘᲔᲚᲝᲜ. გᲐრᲓᲐ ᲐმᲘᲡᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ, ღᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ მᲘმᲐრᲗᲣᲚᲘᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘრᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ, ძᲘრᲘᲗᲐᲓᲐᲓ, მᲘმᲐრᲗᲣᲚᲘ ᲐრᲘᲡ Იმ 25 000 ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲡრᲣᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ �გᲐრᲐᲜᲢᲘრᲔᲑᲣᲚᲘ, რᲝᲛ ᲐრᲪ ᲔრᲗᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ მᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ Არ ᲓᲐრᲩᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲡრᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲐმᲐᲖᲔ მᲗᲐᲕრᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛწᲘᲤᲝ ᲘᲖრუნᲔᲑᲡ“...

496 ᲓᲔᲕᲜᲘᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲙᲐᲜᲝᲜᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ᲓᲦᲔᲡ 496 ᲝᲯᲐᲮᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲡ, ჯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ �გᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲐრᲗᲡ, ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲜᲐᲡ, ᲐᲜ ᲓᲐᲣᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ უკᲕᲔ ᲐრᲡᲔᲑᲣᲚᲡ. ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔრᲗᲘ წᲘᲜ �გᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲒრძᲔᲚᲔᲑᲐᲐ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲖᲔ ზრუნᲕᲘᲡᲐ. წᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲩᲕᲔᲜ მᲡ�გᲐᲕᲘᲡი ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ კᲘᲓᲔᲕ რᲐმᲓᲔᲜᲘმᲔ გᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ, რᲝმᲚᲔᲑᲘᲪ შᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 500 ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲡ მᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ მᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ“...

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ თქმით, მიწის რეგისტრაციის მომდევნო ეტაპი ხუთი მუნიციპალიტეტის — თეთრიწყაროს, გარდაბნის, ქარელის, გორისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულს შეეხება.

„ᲓᲦᲔᲡ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც მოგვიწევს მსჯელობა. პირველ რიგში, მიწის სისტემური რეგისტრაცის ახალი ეტაპი იწყება, შემდგომი ეტაპი, რომელიც შეეხება ხუთი მუნიციპალიტეტის — თეთრიწყაროს, გარდაბნის, ქარელის, გორისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რამეთუ 11 ათასი ჰექტარი მიწა მოწესრიგდება. ამისთვის უკვე დაფინანსება არსებობს“, — განაცხადა გახარიამ. პრემიერის განმარტებით, მოქალაქეებს არანაირი საფასურის გადახდა არ მოუწევთ.

ბანდიტი – პოლიტ-პატიმარი?!

რუსული სპეცსამსახურების, რურუასა და მისი ბანდების ხელშეწყობით განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა

გიორგი რურუა, რომელიც პოლიტიკურ ველზე ძმის ნიკა რურუას გარდაცვალების შემდეგ შემოვიდა, მალევე მოექცა საზოგადოების ყურადღების შუაგულში. მან „მთავარი არხის“ მეწილისგან კახა ანჯაფარიძისგან 2.5%-იანი წილი იყიდა და ამ გზით გახდა მედია მფლობელი. რურუა გასული წლის 18 ნოემბერს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. ოპოზიციამ რურუას პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა და დღემდე მის განთავისუფლებას ითხოვს.

ოპოზიციის განცხადებით, **გიორგი რურუას, გიგი უგულავასა** და **ირაკლი ოქრუაშვილის** გათავისუფლებასთან დაკავშირებით 8 მარტს ხელისუფლებასთან შეთანხმებას მიაღწიეს, თუმცა შეთანხმების ამ პუნქტს „ქართული ოცნება“ კატეგორიულად უარყოფს. ოპოზიცია აცხადებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრაში, რომელმაც პროპორციულ სისტემასთან მიახლოებული საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ პატიმრობიდან გიორგი რურუაც გათავისუფლდება.

ქართული ოპოზიციისგან განსხვავებით, გიორგი რურუას, როგორც პოლიტპატიმარს, ვერ აღიქვამენ ის ადამიანები, რომლებსაც 90-იან წლებში პირდაპირი შეხება ჰქონდათ „ვერის საძმოს“ წევრთან, რომლის წევრებიც იყვნენ ძმები რურუები. როგორც ცნობილია, ნიკა და გიორგი (ჟორიკა) რურუები დაჯგუფება „ვერის საძმოს“ ლიდერები იყვნენ. **ნიკა რურუა** ცნობილია, როგორც „ვერის საძმოს“ დაჯგუფების დამგეგმავი, ხოლო ჟორიკა რურუა – როგორც შემსრულებელი და სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული მთელი რიგი გახმაურებული მკვლელობების სერია, როგორიც არის თორაძეების, ვეფხვაძის, სვანაძის, ჩანტლაძის გახმაურებული მკვლელობები.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გიორგი რურუას ბიოგრაფიაში არის სხვა გაუხმაურებელი მკვლელობაც, მათ შორის საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობა. პირველი პრეზიდენტის შვილი **გიორგი გამსახურდია** „ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე **დონალდ ტუსკს** სოციალური ქსელით მიმართავს და წერს, რომ გიორგი რურუა შევარდნაძის მმართველობის დროს იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების როგორც მონაწილე, ასევე შემოქმედი.

მისივე განცხადებით, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებში უხვად მოიპოვება რურუას კარიერის შესახებ ინფორმაცია, რაც, მისი ნამოქმედარის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს. გამსახურდიას ინფორმაციით, გიორგი რურუას ძმა ნიკა რურუა წლების განმავლობაში სახელმწიფო თანამდებობას იკავებდა და სწორედ, მისი ხელშეწყობით განადგურდა უამრავი მტკიცებულება.

„არსებობს უტყუარი ვარაუდი, რომ რუსული სპეცსამსახურების, რურუასა და ბანდების ხელშეწყობით განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. ბატონო დონალდ, მე, როგორც პოლიციის ატაშემ პოლონეთის რესპუბლიკაში, როგორც პოლონეთის ერთ-ერთმა გულმხურვალე მოყვარულმა და მეგობარმა, ასევე როგორც მამაჩემის შვილმა, რომელმაც ოჯახთან ერთად გადაიტანა ამ ბანდების პარპაში, დევნა და შევიწროება, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მომეწოდებინა თქვენთვის ეს მცირე ინფორმაცია, სამწუხაროდ, თქვენ მიერ შეცდომით „პოლიტიკურ პატიმრად“ მიჩნეული გიორგი რურუასა და მისი საქმიანობის შესახებ“, – სწერს **გიორგი გამსახურდია.**

ამასთანავე, სოციალურ ქსელში გავრცელდა ყოფილი შს მინისტრის კახა თარგამაძის მიერ გენერალური პროკურორის ჯაბლეთ ბაბილაშვილის სახელზე გაგზავნილი უწყებრივი წერილი, სადაც შს მინისტრი წერს: **„როგორც თქვენთვის ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაპატიმრებულია სახელმწიფოთაშორისო ძებნილი გიორგი ვახტანგის ძე რურუა, რომელიც უახლოეს ხანში ჩამოყვანილ იქნება საქართველოში. ჩვენ ხელთ არსებული ოპერატიული და საგამოძიებო მასალებით იგი იმხილება ქ.თბილისში სხვადასხვა დროს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებში.**

გია ვოლსკი: ეს არის ჩანაფიქრი, საკმაოდ მზაკვრული და არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, თავისი პარტნიორული ვიწრო წრისთვისაც.

იმდენად გათავისუფლების თემაზე არ აქვთ აქცენტი, რამდენადაც პარტნიორებს მიანიშნებენ, რომ ადამიანი, ვისი საქმეც განხილვის პროცესშია, შესაძლოა, რომ ხელისუფლების ან პოლიტიკური ლიდერების ნებით იქნეს გათავისუფლებული, ანუ მიიჩნევენ, რომ ეს ნორმალური ფაქტია. თუ ხელისუფლება უკან დაიხევს და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორსაც თვითონ იღებდნენ 2012 წლამდე – ვინ ჩაესვათ, ვინ გაეშვათ, ვინ ეწამებინათ და ვინ მოეკლათ, ასეთი პერიოდი იყო და უნდათ, ამ პერიოდის რაღაც ჩრდილი ჩვენკენაც გადმოვიდეს. არ მგონია, დიდად აწუხებდეთ, რურუა ციხეში იქნება თუ გარეთ, მათ თავიანთი მერკანტილური პოლიტიკური მიზნები აქვთ.

გ.რურუას მიერ ჩადენილი დანაშაულების დროულად გახსნისა და გამოძიების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, პროკურატურის შესაბამისი დანაყოფის მიერ ოპერატიულ სამსახურთან ერთად გამოთხოვილი და შესწავლილი იქნას სისხლის სამართლის საძმეები, რომლებიც წარმოებაშია ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონის პროკურატურაში“, – წერს **კახა თარგამაძე.**

კახა თარგამაძის მიერ ჯაბლეთ ბაბილაშვილის სახელზე გაგზავნილ ამ წერილს თან ერთვის კონკრეტული საქმეების ჩამონათვალი:

1.1994 წლის სექტემბრის თვის დასაწყისში გ.რურუამ და დ.ჯაფარიძემ გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ფიზიკური განადგურების მუქარით მოქ. მარლენ და რეზო შენგელიებს გამოსძალეს 15 000 აშშ დოლარი. სსს №7799847.

2.1993 წლის 10 ოქტომბერს გ.რურუამ, მ. ხაჟომიამ და ნ.ჭელიძემ საქართველოს პარლამენტის შენობიდან ცეცხლსასროლი იარაღების მუქარით გაიტაცეს თორნიკე აფაქიძე. აიყვანეს კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე და ფიზიკური განადგურების მუქარით ცდილობდნენ მისგან 300 000 აშშ დოლარის გამოძალვას.

3.აწ გარდაცვლილ მ.ხაჟომიას ჩვენებით გ.რურუა იმხილება ზ.ვეფხვაძის, გ.სვანაძის და თ.ჩანტლაძის განზრახ მკვლელობაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1993 წლის 22 დეკემბერს ქ.თბილისში, შატბერაშვილის ქუჩაზე.

4.1994 წლის 15 ივლისს გ.რურუამ პირთა ჯგუფთან ერთად ქ.თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში №735 პალატაში ავტომატებით დაცხრილა ლოგინში მწოლიარე ალექსანდრე ბალიაშვილი დაბ. 1973 წ, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. სსს №7596858.

5.1994 წლის 25 სექტემბერს გ.რურუამ თანამზრახველებთან ერთად ქ.თბილისში, ფანასკერტელის №17/30-ში დახოცა ბესიკ მარუაშვილი, ზურაბ მარუაშვილი და გელა ქაფიაშვილი. სსს №7594889.

6.1992 წლის 3 მარტს ვერის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი სევასტოპოლის ქუჩაზე გ.რურუამ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით მოკლა ზაურ თორაძე, ზაირა თორაძე, ლაშა თორაძე, კახა თორაძე და იმედო თორაძე.

7.1994 წელს გ.რურუამ სხვა პირებთან ერთად მოქ. გ. ოსეფაიშვილს მოსტაცა ვაჟიშვილი და მისი ფიზიკური განადგურების მუქარით გ. ოსეფაიშვილს გამოსძალა 130 000 აშშ დოლარი. აღძრულია სს საქმე.

როგორც ჩანს, ამ მხრივ საკმაოდ მდიდარია რურუას ბიოგრაფია. თავდაცვის ყოფილი მინისტრის **დავით თევზაძის** განცხადებით, აქ ჩამოთვლილ დანაშაულებს კიდევ აკლია რამდენიმე, მათ შორის, ერთი მკვლელობა, რასაც მოწმე ჰყავს. თევზაძეს იმედი აქვს, რომ ეს საქმეც მალე გამჟღავნდება.

„იმედია, რომ ეს საქმეც გამჟღავნდება. ხოლო, როდესაც გამჟღავნდება, შერცხვება, მგონია, ბევრს. მიკვირს, უბრალოდ, რატომ უნდა ცდილობდეს ნებისმიერი პოლიტიკოსი თავისი რეპუტაციის ამ ბიოგრაფიასთან დაკავშირებას? ანდა საქართველოში აკრედიტებული ელჩებს რატომ უღირთ თავიანთი ქვეყნების რეპუტაციით თამაში ქართველი მოსახლეობის წინაშე? ბუნებრივია, ეს ეხება იმ ელჩებს, რომლებსაც ე.წ. 8 მარტის შეთანხმებაში მიუძღვით წვლილი“, – წერს **დავით თევზაძე.**

თავად ბრალდებული აცხადებს, რომ მის მიმართ არის პოლიტიკური დევნა და ეს აუცილებლად გამომჟღავნდება. **გიორგი რურუა** აცხადებს, რომ მის სიმართლეს დაამტკიცებს. ამასთან, რურუა სხდომაზე გამოეხმაურა წერილს, რომელიც მისი ადვოკატების განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **კახა კუჭავამ** ევროპარლამენტარებს გაუგზავნა.

„ბატონო მოსამართლე, მინდა, ვისაუბრო იმ ზეწოლაზე, რომელიც ხორციელდება ჩემზე და თქვენზე. მინდა, უბრალოდ მაგალითი მოვიყვანო, მსოფლიოში მადუროს, ვენესუელას, ბელარუსის, რუსეთის, სირიის გარდა, პატიმარზე ამდენს სად ლაპარაკობენ მინისტრები, ქალაქის მერი და პარლამენტარები? არის თუ არა ეს პოლიტიკურად დაინტერესებული საქმე და არის თუ არა ეს პოლიტიკურად შეკერილი საქმე?

ბატონ კუჭავას რაღაც აბსურდული სისულელეები გაუგზავნია, რაზეც აუცილებლად გავცემ პასუხს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მე არ ვარ დამნაშავე. ჩემ მიმართ არის პოლიტიკური დევნა და ეს აუცილებლად გამომჟღავნდება. მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ“, – განაცხადა **გიორგი რურუამ.**

ძალიან ბევრჯერ გაიგონებთ გიორგი რურუას სახელსა და გვარს მსოფლიოს ცნობილი, პოლიტიკოსებისგან, რომელთაც არ შეიძლება, რომ არ იცოდნენ გიორგი რურუას შავი ბიოგრაფია და მაინც უცილობლობ ვითარცა ჯორი!

თამთა ძარჩავა

ასე ჩამოიყვანა 2000 წლის 26 ივნისს ვენა-თბილისის რეისით შეერთებული შტატების საიმიგრაციო სამსახურის ორმა ოფიცერმა ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი გიორგი რურუა საქართველოში.

კოვიდიოტიზმი ოკუპირებულ რეგიონებში

COVID-19-მა, რომელიც გასული წლის ბოლოდან პლანეტის №1 პრობლემადაა ქცეული, რა გასაკვირია და არც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს აუარა გვერდი და მართალია, თბილისზე ოდნავ გვიან, მაგრამ სოხუმსა და ცხინვალშიც გამოჩნდა. ამასთან, მთელი მსოფლიოს მსგავსად, იქაც COVID-19-თან ერთად მძვინვარებს მისი თანმდევი „ვირუსის“ — კოვიდ-დისიდენტობის ეპიდემია და ე.წ. კოვიდიოტების ტომი, რომელიც სადღეისოდ კაცობრიობას შესაძლოა, მეტ საფრთხესაც კი უქმნიდეს, ვიდრე თავად COVID-19, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებშიც იკრებს ძალას.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონთან შედარებით, COVID-19-ის გავრცელების კუთხით უკეთესი ვითარებაა. საკმარისია, ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედოთ: თუ აფხაზეთში ამ დრომდე კოვიდ-ინფიცირებულთა რაოდენობა 40-ს არ აღწევს, ცხინვალის რეგიონში უკვე 80-მდე ინფიცირებულია აღრიცხული, ანუ დაახლოებით ორჯერ მეტი. ეს იმ ფონზე, რომ მოსახლეობის რაოდენობა ბევრად ნაკლებია.

ამას, რაღა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს და მათზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის მიერ ამასწინათ გამოქვეყნებული მოხსენება „COVID-19 გამოწვევა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ გამოყოფილ რეგიონებში“. არაღიარებულ ან ნაწილობრივ აღიარებულ რეგიონებთან მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის თვალსაზრისით განსხვავებული რეგულაციები მოქმედებს, საერთაშორისო ორგანიზაციები კი სადღეისოდ კორონავირუსთან ბრძოლის კუთხით ექსპერტიზისა და სამედიცინო აღჭურვილობის მთავარი მომწოდებლები გახლავან. ვინაიდან ეს რეგიონები თავს დამოუკიდებლად მიიჩნევენ და ამ სტატუსს იცავენ, იქ, როგორც წესი, იქმნება იმის აღქმის პრობლემა, რომელმა საერთაშორისო სტრუქტურებმა და რა ხარისხში უნდა მიაწოდონ მათ დახმარება...

აფხაზეთი ამ კუთხით პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალზე წარმატებულ მაგალითად იქცა: სოხუმის ხელმძღვანელობამ შეძლო თანამშრომლობის ორგანიზება ყველასთან, ვისთანაც შესაძლებელი იყო, განურჩევლად იმისა, სად მდებარეობს ამ ორგანიზაციების წარმომადგენლობები — თბილისში თუ უცხოეთში, საიდან ჩამოდიან მათი წარმომადგენლები და რა სტატუსით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აფხაზეთმა ოფიციალური მომართვა უკვე მარტის დასაწყისში დაიწყო, არაოფიციალურად — კიდევ უფრო ადრე. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ იმხანად — დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას გადადგომის შემდეგ — ოკუპირებულ რეგიონს გარდამავალი მთავრობა მართავდა: ის ბიუროკრატიული ფუნქციონერები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში პოლიტიკის ფორმირებით დაკავებულები არ არიან, გაცილებით ეფექტურები აღმოჩნდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თბილისთან, მოსკოვთან კორპორაციის თვალსაზრისით.

ცხინვალის რეგიონმა კი წმინდა პოლიტიკური მიზეზებით იმთავითვე შეუსრულებელი პირობები წამოაყენა (ვითარებაში, როცა ყველა საზღვრებს კეტავდა, დააყენა მოთხოვნა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტები ჩასულიყვნენ არა ქართული რეგიონების მხრიდან, არამედ თბილისიდან ვლადიკავკაზში და იქიდან ცხინვალში), ამით საერთაშორისო დახმარებაზე ფაქტობრივად, უარი თქვა და განაცხადა, „ყველაფერში, რაც დამჭირდება, სტრატეგიული მოკავშირე რუსეთი დამეხმარებაო“. დაიკარგა უამრავი ძვირფასი დრო და იმ მომენტისთვის, როცა მოახლოებული საფრთხის შემხედვარე დე ფაქტო მმართველებმა, როგორც იქნა, თავის შეწუხება დაიწყეს შესაძლო კოვიდ-ეპიდემიისთვის მზადების მიმართულებით, რუსეთში სამედიცინო საშუალებების ექსპორტი და გაყიდვა აიკრძალა. შედეგად ცხინვალის რეგიონი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა რეალური საფრთხისათვის — ყოველგვარი მომზადების, საექსპერტო დახმარებისა და იმის ცოდნის გარეშე, რა ზომები და როგორ უნდა ყოფილიყო მიღებული, ადგილობრივი ჩინოსნები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ და არანაირი შეთავაზების მოსმენა არ სურდათ, მაშინ, როცა მოსახლეობა პანიკის ზღვარზე იყო ელემენტარული საშუალებების — ნიღბების არქონის გამო.

> **ახლა, როცა მსგავსი უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად ცხინვალს სერიოზული პრობლემა აქვს, დე ფაქტო ხელისუფლება გონს მოგების ნაცვლად, ჩვეული — მოსახლეობის ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის მეთოდით ცდილობს მოქმედებას და მოსკოვთან „დუეტში“ გაუგონარ სადეზინფორმაციო-პროპაგანდისტულ კამპანიას აწარმოებს თბილისის, მათ შორის რიჩარდ ლუგარის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წინააღმდეგ.**
>
> **ეს მაშინ, როცა ცხინვალის რეგიონში, ისევე, როგორც აფხაზეთში, კოვიდ-ინფიცირების დღემდე აღრიცხული ფაქტობრივად ყველა შემთხვევა რუსეთიდანაა იმპორტირებული (ინფიცირებულები ორივეგან უმთავრესად რუსეთის სამხედრო სასწავლებლებიდან დაბრუნებული კურსანტები არიან)... მსგავსი მოქმედებით — ყურადღების რეალური საფრთხიდან არარეალურზე გადატანით — ცხინვალი რეალურად კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, რომელსაც საშველად ვერაფერს სთავაზობს...**

აფხაზეთიდან მსგავსი სადეზინფორმაციო-პროპაგანდისული გზავნილები ჯერ-ჯერობით არ გაჟღერებულა, ყოველ შემთხვევაში — დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. და ეს, ალბათ, ნაწილობრივ მაინც COVID-თან ბრძოლაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობითაც აიხსნება, რომლის შედეგებს ოკუპირებულ რეგიონში, როგორც ჩანს, ხედავენ და აფასებენ....

აი, კოვიდ-დისიდენტებისა და ზოგადად კოვიდიოტიზმის კუთხით კი საქართველოს ამ ორ ოკუპირებულ რეგიონში ვითარება დაახლოებით ერთნაირია: „ბილ გეითსის ჩიპების“, „ვუჰანის სუპერანტენის“, „მასონების გეგმისა“ და შეთქმულების სხვა მსგავსი თეორიების მოყვარულები ორივეგან საკმარისი რაოდენობით არიან — თუმცა ისევე, როგორც მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა სხვა წერტილში.

ამ მხრივ საქმეს ვერც იმ ცნობადი და ავტორიტეტული პიროვნებების განცხადებები შველის, რომელთაც COVID გადაიტანეს. ამასწინათ, მაგალითად, კოვიდ-დისიდენტების მთელმა წყებამ ჩვეული ენთუზიაზმით შეუტია რუსეთში მოღვაწე ცნობილი აფხაზი საოპერო მომღერლის **ხიბლა გერზმავას** ფეისბუქ-პოსტს, რომელშიც კოვიდ-გადატანილი „დივ“ მკითხველს შთაბეჭდილებებს უზიარებდა და სიფრთხილისკენ მოუწოდებდა:

> **„(...) მაისის შუა რიცხვებში ვიგრძენი სისუსტე, ამიწია სიცხემ, თუმცა კორონავირუსზე არც მიფიქრია, სანამ მეორე დღეს ყნოსვა და გემო არ დავკარგე... ეს საშინელება იყო! 10 დღის განმავლობაში მტკიოდა თავიც და მთელი სხეულიც, ძარღვებისა და კანის ჩათვლით, მქონდა მაღალი სიცხე, თვალების საშინელი წვა, თანდათანობით მთლიანად წამერთვა ყნოსვა და გემო.... მედიკოსებმა მსუბუქი ფორმა დამიდგინეს, ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობის გარეშე, სახლის პირობებში მკურნალობით. გაფიქრებაც კი მზარავს, თუ ჩემი ფორმა მსუბუქი იყო, მაშინ რისი გამოვლა უწევთ მძიმე ავადმყოფებს?! ვირუსი არსებობს, მეგობრებო და მტერს არ ვუსურვებ ამ კოშმარის გადატანას! ვბრაზდები ადამიანებზე, რომლებიც ამ ყველაფერს არასერიოზულად ეკიდებიან, არ სჯერათ და ფიქრობენ, რომ ეს რაღაც გამოგონილი პრობლემაა... ყველას მოგმართავთ თხოვნით, დაიცავით საკუთარი თავიც და ახლობლებიც!“.**

კოვიდ-დისიდენტთა „სექტის“ წარმომადგენლებმა ძალ-ღონე არც გერზმავას საპასუხოდ დაიშურეს:

> **— „რა თქმა უნდა, ვირუსი არსებობს, თანაც უკვე დიდი ხანია. პნევმონია ბოლო 10 წელია, ბოგინობს მსოფლიოში, თანაც საკმაოდ თავისუფლად... უბრალოდ ახლა მოდაა, ყველაფერი „კოვიდს“ მიაწერონ. ექიმმა თქვა, „კოვიდიო“? — ესე იგი, „კოვიდია“. მაინტერესებს, თუკი ეს „კოვიდი“ ასეთი საშინელია და კოშმარული, რატომ დატოვეს გერზმავა და ტოვებენ სხვებსაც სახლში?!“;**
>
> **— „აჰა, დაიწყო, აგორდა ისევ... ეს რა მოდა გადმოიღეს უცხოური მედიასაშუალებებისგან, რომლებიც ასევე ცნობად სახეებს იყენებენ ხალხის ტვინებში ამ „ვირუსის“ ჩასატენად!.. თქვენც დაიჯერეთ, არა?!“.**

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ახალი ამბების სააგენტო **„აქცენტი“** და **„საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ (GRASS)** უახლოეს ხანებში ჩეხეთის საელჩოს დაფინანსებით ერთობლივ პროექტს იწყებენ, რომლის ამოცანებს შორის აფხაზეთში გავრცელებული ყალბი ამბების — ე.წ. Fake New-ების გამოვლენა/ანალიზი და აფხაზი ჟურნალისტების ჩართულობით აფხაზური საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაც იქნება.

მანამდე კი, რაკი კოვიდ-დისიდენტები ქართველ საზოგადოებაშიც მომრავლდნენ, ჯერ ჩვენს ქართველ მკითხველს გვსურს, მოკლედ შევახსენოთ პრობლემის არსი და მოვუყვანოთ რამდენიმე არგუმენტი მსგავსი შეთქმულებების თეორიების გასაბათილებლად.

რატომ ფიქრობენ ადამიანები, რომ კორონავირუსი არ არსებობს?!

აქ ერთდროულად რამდენიმე მიზეზია:

1. გარდაუვალის მიღების სტადია;

როგორც წესი, ადამიანი სერიოზული განსაცდელის დროს 5 სტადიას გაივლის: უარყოფა, აგრესია, ვაჭრობა, დეპრესია და მიღება. ასე ეგუება ფსიქიკა ახალ ვითარებას. პანდემია თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ განსაცდელად და უარყოფა ამ შემთხვევაში მძლავრი დაცვითი მექანიზმია: „კორონავირუსი არ არსებობს — მაშასადამე, მალე ყველაფერი ისევ ნორმაში ჩადგება“.

2. მოქმედების გადადების მცდელობა;

თუ პრობლემის არსებობას ვაღიარებთ, ამას მოჰყვება სხვადასხვა გადაწყვეტილებისა და მოქმედების აუცილებლობა. მაგალითად, ცხადი გახდება, რომ ეკონომიკა საფრთხეშია, მაშასადამე, საჭიროა ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ალტერნატივების მოძიება სამუშაოს დაკარგვის შემთხვევისთვის. ეს ყველაფერი უსიამოვნოა და მტკივნეული. გაცილებით ადვილია, თავი მოვიკატუნოთ, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

3. უნდობლობა;

მრავალ ქვეყანაში პანდემიის ფონზე ხელისუფლებების რეიტინგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ბევრი უნდობლობით ეკიდება იმას, რაც ოფიციალური სახელისუფლებო წყაროებისგან ესმის. რუსეთის შემთხვევაში, მაგალითად, ეს განსაკუთრებით ეხება სტატუსით გაუგებარ თვითიზოლაციას კარანტინის ნაცვლად და მოქალაქეთა გადაადგილების კონტროლს საგანგებო მდგომარეობის არარსებობის პირობებში.

4. სხვების ფონზე „გაჯგიმვის“ მცდელობა;

სანამ მთელი მსოფლიო ჭკუიდან გადადის, კოვიდ-დისიდენტი თავს რჩეულად გრძნობს: ის ხომ „საიდუმლოს შეეხო“ და „ჭეშმარიტება გამოიცნო“, ახლა კი ისღა რჩება, დაელოდოს, როდის „აეხილებათ თვალი“ დანარჩენებს და აღიარებენ მის „სიდიადეს“.

რით არის საშიში კორონავირუსული დისიდენტობა?!

რისიც არ უნდა სწამდეს კონკრეტულ კოვიდიოტს, მნიშვნელოვანია ერთი რამ: იგი არ იცავს რეკომენდაციებსა და შეზღუდვებს, რომლებმაც ვირუსის გავრცელება უნდა შეაკავოს. რაც მეტია ასეთი ადამიანი, მით მეტი იქნება ინფიცირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰოსპიტალიზებას ინფიცირებულთა საშუალოდ 20% საჭიროებს, მაგრამ 1000 ადამიანის 20% და 100 000 ადამიანის 20% — ეს სულ სხვადასხვა ციფრებია. შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება იმის რისკი, რომ ვიღაცას სუნთქვის ხელოვნური მართვის აპარატი არ ეყოს, ვიღაცასთან კი კრიტიკულ მომენტში ექიმიც ვერ მივიდეს.

თხოვნებისა და მოთხოვნების იგნორირებას იქამდე მივყავართ, რომ ხელისუფლებები შეზღუდვებსა და კონტროლს ამკაცრებენ.

კიდევ უარესია, როცა დისიდენტობა თავად ხელისუფლებაში აღწევს. ამის არაერთი მაგალითი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გვაქვს. მაგალითად, ბრაზილია სწორედ ახლა ქვეყნის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონაროს კორონა-დისიდენტობის უმძიმეს შედეგებს იმკის.

აქ უნდა გავიხსენოთ, რით დაიწყო ყველაფერი — აივ-დისიდენტებით. ისინი იგივე სქემით მოქმედებენ და შედეგები უკვე ჩანს, მაგალითად, რუსეთში. პრობლემაზე რომ თვალი დავხუჭოთ, ეს ლეტალური შედეგით დასრულდება. ტიუმენში შესაბამისი თერაპიის არჩატარების გამო 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა — მშობლებს აივ-ინფექციის არსებობის არ სჯეროდათ. პეტერბურგში ანალოგიურ გარემოებებში 4 წლის ბავშვი დაიღუპა. ეს შემთხვევები იმის გამო გახმაურდა, რომ ბავშვების მშობლები ორივე შემთხვევაში სასამართლოს წინაშე წარდგნენ. თავად აივ-დისიდენტებისა და მათ მიერ „ინფიცირებული“ მოქალაქეების სტატისტიკა კი, სამწუხაროდ, არ არსებობს.

SARS-CoV-2-ის შედარება შიდსთან არაკორექტულია: მეტისმეტად განსხვავებულია ეს ვირუსები. აი, აივ-დისიდენტების შედარება კოვიდიოტებთან — ძალიანაც კორექტული: ერთნიც და მეორენიც ექსპერიმენტებს ატარებენ გარშემომყოფ ადამიანებზე და ამ ექსპერიმენტების შედეგები შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს.

„აქცენტი“

მარტყოფის საიდუმლო

რა მოხდა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში?

1918 წლის 26 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკსა და ვასილ კბილაშვილთან ერთად დილის 5 საათზე ეტლით გაემგზავრა მარტყოფის მონასტერში. პატრიარქს თან ახლდა ჩიტო (ქრისტეფორე) კაპანაძე, მაგრამ გზაში გაირკვა, რომ პატრიარქს წიგნები დარჩა, რომლებიც სამუშაოდ სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ, ჩიტო კაპანაძე წიგნების წამოსაღებად დარჩა.

პატრიარქი კირიონი მარტყოფის მონასტერში 11 საათზე მივიდა, ლოცვის შემდეგ მუშაობას შეუდგა. გვიან ღამით, 1 საათზე დაიძინა. წინა ოთახში ეძინა არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკს. პატრიარქი დილის 5 საათზე დგებოდა. გახდა 5, 6, 7 საათი, პატრიარქის ოთახის კარი არ იღებოდა... ბოლოს გადაწყვიტეს და შეაღეს კარი.

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II სისხლში ცურავდა, გარდაცვლილის გვერდით ეგდო მისივე დაკეტილი ბრაუნინგი. არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი სასწრაფოდ გამოეშურა თბილისში, 11 საათზე გაიმართა საკათოლიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც **„მოისმინა ტარასი კანდელაკის ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის გარდაცვალების შესახებ და განაჩინა: ეს სამწუხარო ამბავი ეცნობოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს სათანადო განკარგულებისათვის და აგრეთვე ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს. ეთხოვოს თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს, მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისი უწმიდესობის გვამის დასაკრძალავად. ოქმს ხელს აწერენ: მიტროპოლიტი ლეონიდე, ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, რაფიელ ივანიცკი, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, პეტრე ბარათაშვილი“.**

იმავე დღეს თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: **„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს სახელით პატივისცემით გაცნობებთ, რომ ამა თვის 27-ს (ივნისი), დილის 7 საათზე, მარტყოფის წმიდა ანტონის მონასტერში უეცრად გარდაიცვალა კათოლიკოზ-პატრიარქი კირიონ II“.**

საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ შექმნა უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის დამკრძალავი კომისია ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) თავმჯდომარეობით. მისი მოადგილე იყო გიორგი ჟორდანია, წევრებად — დეკანოზები ანტონ თოთიბაძე და ნიკიტა თალაკვაძე.

დამკრძალავ კომისიაში დაიწყო მსჯელობა, სად დაეკრძალათ უწმიდესი და უნეტარესის კირიონ II. იყო საუბარი იმის შესახებაც, რომ პატრიარქმა თავი მოიკლა და იქნებ სჯობდეს, რომ უხმაუროდ დაიკრძალოს მარტყოფის მონასტერშიო, მაგრამ ახლა კი აღარ დათმო საზოგადოებამ, გამოფხიზლდა მისი ნაწილი და კატეგორიულად მოითხოვა კირიონ II-ის ნეშტის თბილისში გადმოსვენება. გადაწყდა, პანაშვიდები გამართულიყო ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო 7 ივლისს განსვენებული დაიკრძალებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის მუხანათურმა მკვლელობამ ფრიად დაამწუხრა საქართველო.

„ტანჯული ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოწამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის“ ჭირისუფლად იქცა გაზეთი „საქართველო“, რომელიც წერდა: **„ცეცხლისა და წამების ალში გაწმინდა კათალიკოზმა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის ტანჯვით და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას... მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია. რა მოხდა წმიდა ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის. საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათალიკოზმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მის სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც“.**

„ჩაქრა ლამპარი, რომლის მსგავსი იშვიათად აინთება საუკუნიდან საუკუნემდე! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი მღვდელმთავარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი“, — წერდა **იოსებ იმედაშვილი.**

„კირიონ კათოლიკოსის სიკვდილით საქართველოს ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, დაამთავრა თავისი ერთნახევარ ათასწლოვანი ისტორია...“ — წერდა პროფესორი **სარგის კაკაბაძე.**

სერგო ვარდოსანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გერმანიაში სამკურნალოდ, სასწავლებლად და სამუშაოდ ჩასული ჩვენი მოქალაქეები კარანტინს არ გაივლიან

გერმანიაში სამკურნალოდ, სასწავლებლად და სამუშაოდ ჩასული საქართველოს მოქალაქეები სავალდებულო კარანტინს არ გაივლიან, — ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გერმანიამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისთვის სავალდებულო კარანტინის გაუქმების შესახებ. ეს ეხება სამკურნალოდ, სასწავლებლად და სამუშაოდ ჩასულ მოქალაქეებს. დანარჩენში ველოდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი. რაც შეეხება რეგულარულ ფრენებს, მთავარია, დავინახოთ, რომ ამა თუ იმ ქვეყანასთან საზღვრის გახსნა უსაფრთხოა ჩვენთვის. მსოფლიოში ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. სავალუტო ფონდის განახლებული პროგნოზით, მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკის სულ მცირე 4,9%-ით დაცემა, მათ შორის 10%-მდე არის პროგნოზი ევროპასთან მიმართებაში და ეს არ შეიძლება არ აისახოს საქართველოზეც. არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტული კომპანიების მდგომარეობა გაუარესდეს და სწორედ ამის წინააღმდეგაა მიმართული ჩვენი ანტიკრიზისული გეგმა. თუმცა რომელიმე კომპანია შეიძლება მაშინაც გაკოტრდეს, როდესაც ეკონომიკა ყვავის, მაგრამ ამ კომპანიას რაღაც გადაულახავი პრობლემები შეექმნას. ამიტომ შეიძლება თუ არა რომელიმე კომპანიის გაკოტრების კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირება, ეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული განხილვის საგანი უნდა იყოს“.

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზია კომპანიამ OMV PETROM მოიპოვა

22 ივნისს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ტენდერში შავ ზღვაზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოპოვებაზე, კომპანიამ OMV Petrom გაიმარჯვა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ნათია თურნავამ განუცხადა. ეკონომიკის მინისტრის თქმით, OMV-კომპანიების ჯგუფი არის უდიდესი გიგანტი ნავთობის მოპოვების და გადამუშავების სფეროში და Forbes-ის რეიტინგში ავსტრიულ კომპანიებს შორის სიდიდით მეორე, ევროპაში ნავთობმომპოვებელ კომპანიებს შორის კი მეათე ადგილს იკავებს. **„ეს არის მართლაც სასიხარულო ინფორმაცია. ერთი, რომ ასეთი დიდი და ცნობილი ახალი ინვესტორი შემოდის საქართველოში. მეორე, რომ შემოდის ჩვენი მინერალური რესურსების და წიაღის მოპოვების სფეროში, რაც ადასტურებს იმას, რომ საუკეთესო პირობები გვაქვს ჩვენ აქ შექმნილი. და მესამე, ის შემოდის კონკრეტულად ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების სფეროში“,** — განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, კომპანიასთან ხელშეკრულება უახლოესი მომავალში გაფორმდება.

კახა კალაძემ „მთავარი არხის“ ბრალდებები უარყო

წარმოადგინეს სხვა პარკინგი, თითქოს ეს იყო ის სამუშაოები, რომელიც მუნიციპალიტეტმა განახორციელა, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რითიც ორბელიანის მოედანთან მიწისქვეშა სადგომის დატბორვის ფაქტს გამოეხმაურა. კახა კალაძემ „მთავარი არხის“ ბრალდებები უარყო. საქმე ეხება სიუჟეტში გასულ ინფორმაციას, რომ ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციიდან 1 წლის შემდეგ მიწისქვეშა საპარკინგე ადგილი დაიტბორა.

კახა კალაძის ინფორმაციით, სიუჟეტში ნაჩვენები ადგილი კერძო საკუთრებას წარმოდგენს და ის „პირიმზე პლაზას“ ეკუთვნის. მისივე თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტს თავადაც მიაწოდა, თუმცა არხმა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მაინც სცადა. დედაქალაქის მერი ასევე განმარტავს, რომ „პირიმზე პლაზასთან“ აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს, რათა მათ საპარკინგე ადგილი მოაწესრიგონ.

ის, რომ პარკინგი ასეთ მდგომარეობაშია, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ იგეგმება მისი რეაბილიტაციაც. ჩვენ არაერთხელ გვქონდა კომუნიკაცია და უახლოეს მომავალში ასეც იქნება განახლებული და მოწესრიგებული არა მუნიციპალიტეტის თანხით, არამედ ვისი საკუთრებაცაა, მათი თანხით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ფაქტს „თბილისის განვითარების ფონდიც“ გამოეხმაურა. კომპანიაში აცხადებენ, რომ კერძო პარკინგისთვის ბიუჯეტიდან თანხა არ დახარჯულა და ეს ინფორმაცია საჯაროა.

...„ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი გამაოგნებელი მავნებლობის მომსწრეები გავხდით! მართალია, არ არის ახალი ამბავი, რომ „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს სძულთ, ეზიზღებათ განათლება და ყველაფერი რაც არის დაკავშირებული განათლებასთან, მაგრამ უკვე ყველაზე უარეს მოლოდინსაც გადააჭარბეს. გადაწყვიტეს, „მასწავლებლის სახლი“ გადასცენ სუსს. მეგობრებო, ამ ქვეყნის მომავალი გადის განათლებაზე და არა სუსზე. მეტიც, ყველგან გვჭირდება განათლებული ადამიანები, ამაშია საქართველოს წარმატებული მომავალი. ჩვენ 2011წელს გავხსენით „მასწავლებლის სახლი“. იქ მიღებული ცოდნით 20 000- მა პედაგოგმა მიიღო მაღალი პედაგოგიური კვალიფიკაცია, სერტიფიკატი და ამასთან ერთად სახელფასო დანამატიც. ეს იყო „სახლი“, სადაც 24/7-ზე სწავლობდნენ თავად მასწავლებლები, უზრუნველყოფილი იყვნენ ყველაფრით, წვდომა ჰქონდათ უახლეს გამოცემებთან, მსოფლიოს უნიკალურ ბიბლიოთეკებთან, რაც დამოუკიდებლად შეუძლებელია, რადგან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

ამ ცენტრში მასწავლებლების შვილებისთვის იყო საცხოვრებელი, ჰყავდათ ძიძები, იმისთვის, რომ არცერთი წუთი არ დაგვეკარგა , მაქსიმალურად ინტენსიურად აგვემაღლებინა მათი კვალიფიკაცია. ეს იყო პროექტი, რომლის გასაცნობად ჩამოდიოდნენ პარტნიორი ქვეყნების დელეგაციები, შუა აზიიდან დაწყებული დამთავრებული უკრაინით. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა და უკვე ვაშენებდით „მასწავლებლის სახლს“ ყველა დიდ ქალაქში. ამ განათლების მოძულე „ოცნებამ“ მოსვლისთანავე შეაჩერა ყველა მათგანი, დახურა ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ამერიკელი მასწავლებლების პროგრამა, გასაგებია რომ გაგრძელების უნარი არ აქვთ, ამ მართლაც გაუნათლებელ და უუნაროებს, მაგრამ მიზანმიმართული, უკიდურესი მავნებლობაა, როცა ანადგურებ იმას, რაც არის და წარმატებით ხორციელდება. თუმცა მე მინდა გითხრათ, თქვენ პირველ რიგში, ჩემო მეგობრებო, და აქვე მათაც, რომ რამდენიმე თვეში განათლების ეს მიზანმიმართული ნგრევა დასრულდებდა, ჩვენ ყველა დაწყებულ პროექტს მივიყვანთ ბოლომდე.

ისევ დავიწყებთ ნულიდან ამ სისტემის, ისევე როგორც სხვა ბევრი რამის მშენებლობას, მაგრამ ეს იქნება №1, რადგან ამ ქვეყნის მომავალი გადის განათლებაზე, ყველაფერ დანარჩენს ქმნიან განათლებული ადამიანები, განათლებულ ახალგაზრდებშია ჩვენი მომავალი და მას ეს მართლაც გაუნათლებელი მავნებლები ვერ წაართმევენ საქართველოს“ — ეს მართლაც გამაოგნებელი „მონოლოგი“ ცოტა ხნის წინათ მიხეილ სააკაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

„წარსული წარსულში არ კვდება“... როგორ განადგურდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს განათლების სისტემა

და ვინაიდან „წარსული წარსულში არ კვდება“, ვიდრე „პროგრესნიუსი“ გაარკვევს, ნამდვილად იგეგმება თუ არა „მასწავლებლის სახლის“ სახელმწიფო უშიშროების სამსახურისთვის გადაცემა, მანამდე მკითხველს შევახსენებთ, თავად სააკაშვილს რა დამოკიდებულება ჰქონდა განათლებისა და საგანმანათლებლო ობიექტების მიმართ.

2005 წლიდან განათლების სამინისტრომ სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანახმად, დედაქალაქსა და რეგიონებში მცირე კონტინგენტიანი სკოლების ოპტიმიზაცია-ლიკვიდაცია დაიწყო. პროცესში ორი ძირითადი ეტაპი გამოიკვეთა: პირველი ეტაპი მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლების გაერთიანებას გულისხმობდა, მეორე ეტაპზე კი, პარალელურად, სკოლების შენობების პრივატიზება მიმდინარეობდა.

2008 წელს დაიხურა და მოგვიანებით, გაიყიდა ნუცუბიძის I პლატოზე მდებარე 125-ე საჯარო სკოლა. 125-ე სკოლის მოსწავლეებს მოშორებით მდებარე 126-ე და 128-ე სკოლებში მოუწიათ გადასვლა, ხოლო გაყიდული საჯარო სკოლის შენობაში კერძო სკოლა — ნიუტონის თავისუფალი სკოლა გაიხსნა.

2011 წელს მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდა დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში მდებარე 187-ე სკოლის გასხვისება, სადაც 700 მოსწავლე სწავლობდა. საჯარო სკოლის გაყიდვის შემდეგ 60-ზე მეტი მასწავლებელი უმუშევარი, ხოლო მთელი კვარტალი საჯარო სკოლის გარეშე დარჩა. აღსანიშნავია, რომ სანამ მილიონად გაიყიდებოდა, 187-ე სკოლა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გარემონტდა და ეს სახელმწიფო ბიუჯეტის ან უცხოელი დონორის ფულით გარემონტებული სკოლის გაყიდვის ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ.

2012 წელს მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდა თბილისის 111-ე საჯარო სკოლის გასხვისება. თანაც იმ დროს, როცა ამ შენობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა.

ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს დახურული და გაყიდული სკოლების მცირე ნაწილია. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად კი ამ პერიოდში, საქართველოს მასშტაბით, 1200-ზე მეტი სკოლა დაიხურა. დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებში დახურულ სკოლებში „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრების ან მათთან დაახლოებული პირების კერძო სკოლები გაიხსნა.

სკოლების ოპტიმიზაცია-ლიკვიდაციის პროცესმა განსაკუთრებული პრობლემები სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შეუქმნა. დახურული სკოლების მოსწავლეებს უახლოეს მოქმედ სკოლამდე მოსასვლელად კილომეტრების ფეხით გავლა უწევდათ. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად , ერთი მოსწავლე ტყის გავლის დროს უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, ორი გოგონა კი მდინარეში ჩავარდა და გამვლელებმა გადაარჩინეს.

2008 წელს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე „მასწავლებლების სახლი“ გაიყიდა. ცნობისთვის, „მასწავლებელთა სახლი“ აუქციონზე აგვისტოს ომის დროს გაიტანეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ქალაქის გარეუბანში ახალი მასწავლებლის სახლის მშენებლობა, რომელიც 2011 წლის 5 ოქტომბერს გაიხსნა.

ბუნებრივია, „ნაციონალურ რეფორმებს“ ვერც უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემა გადაურჩა. პრეზიდენტის დედამ გიული ალასანიამ თავის დროზე ძალიან საეჭვო ვითარებაში ჩალის ფასად შეიძინა ტექნიკური უნივერსიტეტის ორი კორპუსი. კერძოდ, ე.წ. მეხუთე კორპუსი და პოლიკლინიკის კორპუსები. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და უნივერსიტეტის კორპუსების შემდეგ ქალბატონმა გიულიმ ტექნიკური უნივერსიტეტის სტადიონი დაისაკუთრა. 2008 წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტის დაახლოებით 15,827 კვ.მ. უკვე გიული ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრებად ირიცხება.

„საქართველოს უნივერსიტეტში“ არსებული წილის გარდა, გიული ალასანია „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ პრორექტორიც გახლდათ. საქართველოს პრეზიდენტმა 2007 წლის 22 მარტს გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე 101 222 კვ.მ მიწის ნაკვეთი „შავი ზღვის უნივერსიტეტს“ სიმბოლურ ფასად გადასცა.

2009 წელს პრეზიდენტის დედა კიდევ ერთი უნივერსიტეტის დამფუძნებელი გახდა. კერძოდ, მან შეიძინა „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ 14% წილი აუქციონზე, სადაც აღმოჩნდა, რომ სხვა დაინტერესებული მხარე არ არსებობდა.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის მიმართ მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულების ერთ-ერთი მაგალითია მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაშლა და მის დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტების უმაღლეს სასწავლებლებში გადანაწილება, რასაც დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შეეწირა. მეცნიერების ეს კერა ჯერ მეცნიერების აკადემიიდან „გარიცხეს“, შემდეგ დაფინანსება შეუწყვიტეს და თანამშრომლები დაითხოვეს. იგივე ბედი გაიზიარა ფილოსოფიის ინსტიტუტმაც.

ეს ერთადერთი სამეცნიერო კერა იყო, სადაც დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარება გრძელდებოდა — „პროგრესნიუსს“ დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ზურაბ ვახანია ესაუბრა:

— ჩვენს ინსტიტუტს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა და მას სხვადასხვა დროს თავად დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი და შოთა ნადირაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ინსტიტუტი აქტიურ სამეცნიერო სამუშაოს ეწეოდა. მიმდინარეობდა მუშაობა გამოყენებითი მიმართულებითაც: სამედიცინო ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია და ა.შ. ხშირად ვატარებდით უფასო კონსულტაციებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. ჩვენს თანამშრომლებს იწვევდნენ ექსპერტის სტატუსით სასამართლო პროცესებზე. გარდა ამისა, პედაგოგებისთვის ხშირად გვქონდა უფასო ტრენინგები, მზადდებოდა მრავალი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ლომაიას მინისტრობის დროს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები გააძლიერეს და სსიპის სტატუსი მიანიჭეს, მაგრამ შაშკინის მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები მიუერთეს ილიას უნივერსიტეტს და თანამშრომლები დაგვითხოვეს სამსახურიდან, რადგან ხელი არ მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ორი წლის განმავლობაში უხელფასოდ უნდა გვემუშავა. ჩვენ ყველანაირი კომპრომისისთვის მზად ვიყავით, თუნდაც ბიუჯეტი შემცირებულიყო, მაგრამ არავითარ შეღავათზე არ წამოვიდნენ.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყეთ სამართლებრივი დავა და მოვიგეთ. ხელში გვაქვს დოკუმენტი, სადაც წერია, რომ ეს იყო უკანონობა, მაგრამ ერთადერთი, რასაც მივაღწიეთ, განაცდურის ანაზღაურებაა.

ფილოსოფიის ინსტიტუტს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გაუხსნეს პატარა განყოფილება და თანამშრომლების ნაწილი იქ დასაქმდა. ჩვენ კი ასე დავრჩით, იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გვაქვს. ყველაფრის მიუხედავად, პრობლემა ჩვენი დაუსაქმებლობა კი არა, ისაა, რომ იმას, რაც ჩვენი ინსტიტუტისგან დარჩა, არანაირი კავშირი არ აქვს დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიასთან და აკადემიურ მეცნიერებასთან. სამწუხაროა, რომ ინსტიტუტი, რომელშიც გაგანია საბჭოთა პერიოდშიც კი მარქსიზმის ციტირება არ ხდებოდა და დახურვას გადაურჩა, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს პირობებში დაიხურა, — ამბობს ზურაბ ვახანია.

დაბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ მუდმივად წარსულზე საუბარი არ შეიძლება. ჩვენ ვიცით, რომ სწორება მომავალზე უნდა გვქონდეს, მაგრამ „წარსული წარსულში არ კვდება“ და ფაქტია — წარსულში ჩადენილი გამოუსწორებელი, დანაშაულის ტოლფასი „შეცდომების“ ავტორი არ უნდა „მოქლვრავდეს“ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეობაზეც თავისი ნებით თქვა უარი, იმიტომ, რომ სხვა ქვეყანაში მაღალ თანამდებობაზე დაენიშნათ.

„პროგრესნიუსი“

ᲐᲡᲞᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲤᲐ

გრიფელით ვწერდი ასპიდის დაფაზე,
ერთად ვაგროვებდი მეტაფორულ ასტროიდებს,
ასტრალურ მოტივებს ძვირად ვაფასებ,
არაფერს ვეკითხები ფიფასა და ფიდეს.

ასპიდის დაფაზე ვწერდი გრიფელით,
მეხმარება ჩემი მარჯვენა და მარცხენა.
გრძელდება ომი თეთრების და წითლების,
ომში ორივე მხარე მარცხდება.

პიკასოს მტრედი მირჩევნია ჩელენჯერს,
იესოს სადილი – კლინტონის ბანკეტებს,
მით უფრო, მე ვარ ცუდი მენეჯერი,
მაგრამ მეტაფორას უკეთესად ვაკეთებ.

როდესაც მთვარეზე დავადგი ფეხი,
კინაღამ აღარ დავუჯერე თვალებს,
მაიაკოვსკი გავარდა, როგორც მეხი,
უცხოპლანეტელი ვეგონე მთვარეს.

კორონა ვირუსზე ჩამიტარა ტესტი,
აღმომაჩნდა „ჩაკრულო“ და იშხნელების გიტარა,
მეგონა, ახლოს ვიყავი მზესთან,
რა ვქნა, თუ არა ვარ სოროსივით მდიდარი.

მაიაკოვსკის ლექსებს პლანეტები კითხულობენ,
ჩემი ლექსები ვიღას აგონდება,
იქნებ აჯობებდა, ვყოფილიყავ ქვითხურო,
ანდა მშენებელი ცისფერი ვაგონების.

მთვარეზე ვერ ვნახე ხმელი წიფელი,
მთვარეს უჩემოდაც კარგად მოუვლიან.
ასპიდის დაფაზე დავწერე გრიფილით
ლექსი და ვუგზავნი სპარტაკ ქობულიას.

თეთრი ანაფორა, როგორც ასტრაგალი,
როგორც ასტრაგალი თეთრი ანაფორა,
აღარც ფუნჯი მინდა, აღარც ფარგალი,
ასპიდის დაფაზე გრიფელით გავაფორმე.

როცა მთვარიდან დავბრუნდი მიწაზე,
უცებ კარანტინში ამოვყავი თავი,
მთვარეზე ყველაფერი ვნახე და ვიცანი,
არმსტრონგი და არმსტრონგი, სხვანი და სხვანი.

მთვარეზე ვიყავი თავისუფალი,
იქ არ იბეჭდება „ვაშინგტონ ნიუსი“,
მაგრამ არ ვიცი, რას ფიქრობს უფალი,
ინსულტი მომკლავს თუ კორონა ვირუსი.

მთვარეზე ვერ ვნახე დიანას ჭალა,
ჭალა და მისი ანტიკური დოქი,
ვარსკლავები დაბლიდან წვრილ-წვრილი ჩანან,
როგორც ქვიშაზე დაპნეული ოქრო.

ᲡᲢᲐᲜᲡᲔᲑᲘ

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
ხუნდივით მადევს და არსად არ მიშვებს,
პეტერბურგელი არა ვარ ბლოკივით,
რომ გავემიჯნურო მენდელეევის ქალიშვილს.

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
საკუთარ ეზოში მაბამს ძაღლივით,
რომ ვუერთგულო ქვეყანას ბლოკივით,
საკუთარი ძუძუთი მკვებავს ბალღივით.

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
მადევს და კვდება ჩემზე ბრუნვაში,
ბადენ-ბადენში არ წავსულვარ ბლოკივით,
სიყვარული მეწვია ბათუმის ბულვარში.

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
მადევს, რადგან არ ჭირდება ალიბი,
სიყვარულში მდიდარი ვარ ბლოკივით,
ცხოვრებაში – გრანელივით ღარიბი.

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
მადევს, როგორც ჯილდო უფლისმიერი,
უფალთანაც მართალი ვარ ბლოკივით,
მართალი ვარ, ამაყი და ძლიერი.

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
ხოლო შური დამდევს, როგორც ჭილყვავი,
დღეს პირველი პოეტი ვარ ბლოკივით,
მაგრამ გუშინ არავინ არ ვიყავი.

პეტერბურგელი რომ ვიყო ბლოკივით,
შევირთავდი მენდელეევის ქალიშვილს,
მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი,
ხუნდივით მადევს და არსად არ მიშვებს.

ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲜᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ

აქ არი ყანობილი, აქ არი ტყეპარკი,
ოქროს აბებია აბასთუმნის ჟანგბადი,
არ მინდა სასთუმალი, ჩემითაც გავარკვევ,
წამოღებული მაქვს ჩემი გუდა-ნაბადი.



ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲘᲫᲔ

მშობლიური მიწა, როგორც ბორკილი, ხუნდივით მადევს და არსად არ მიშვებს!

ტყეპარკის ნაძვებს მივწერე ბარათი,
ფიჭვებსაც მალე ავუხელ თვალებს,
ყანობილის მთაზე სანთელი ავანთე,
ანთებული სანთელი მივუნათე მთვარეს.

ტელესკოპით შევყურებ პლანეტების საუფლოს,
რა თქმა უნდა, ცაში ღმერთი მეგულვის,
ახალი ჯიპით ამობრძანდა მეუფე,
მე ამოვედი დანჯღრეული ჟიგულით.

თითქოს დაპატარავდა პლანეტა მწვანე,
როცა გალაქტიკაში ტელესკოპით ჩავიხედე,
მომეჩვენა ვიყავი უმწეოზე უმწეო,
თავი რომ მეგონა მამაცი მხედარი.

ყანობილი თავისთავად მთაა ლამაზი,
ობსერვატორია კი ღირსშესანიშნაობა,
ტელესკოპით ვიხილე გალაქტიკის დარბაზი,
რომელსაც არ აქვს თავი და ბოლო.

არც დასასრული აქვს, არც დასაწყისი,
აშკარაა მხოლოდ კოსმოსური ქაოსი“,
გალაქტიკა პლანეტებს იქით-აქეთ ისვრის,
არა ღმერთის ბრძანებით, არამედ თავისით.

კოსმოსური წესრიგია უწესრიგობა,
ბეტელჰეიზეა ტრილიონი ტონა,
მართალია, მე მათი არაფერი გამეგება,
ამიტომ საკუთარ ავტოგრაფს ვტოვებ.

პლანეტებს ვეგონე მარსიანელი,
არ იციან, რომ ჩიტი ვარ კანარის,
ჩემი მწვანე პლანეტის მქონია ვალი,
ან ჩამომაწერს და ან – არა!

ბოლოს თვალი ვკიდე ხავერდის სავარძელს,
მსურს, ეს მესიჯი განვაზოგადო,
ტელესკოპთან იჯდა ევგენი ხარაძე
და ირმის ნახტომს თვალით ზომავდა.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲓᲔᲜᲘᲖᲐ ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ბათუმმა დარბაზი გაგვიღო საჯაროდ.
მართალი სიტყვაა მისი დევიზი.
მე არასოდეს არაფერს არ ვაჭარბებ,
ლექცია, რომელიც წაგვიკითხა დენიზამ,

მირონცხებულია ღვთისნიერი ნიჭით.
ანტიქრისტეები ბზუიან კოღოსავით.
საჭიროა გადავდგათ მტკიცე ნაბიჯი,
ჭეშმარიტებისა და ღვთისმოსავი.

ღვთივკურთხეული დოქტორი-თეოლოგი,
თვალსაჩინო პროფესორი, რომლის ლექცია,
რომლის ლექცია და ლექციების ბლოგი,
აჭარბებს ძვირად ღირებულ აქციებს.

ვრცელია მისი ლექციების ბლოგისფერო,
მის საუბრებს ღმერთის ხელი განაგებს,
მისი საუბრის მეტაფორა-ანაფორა,
არ აწყენდა მეგაქალაქებს.

მისი ეპისტოლე წაიკითხა ტრამპმა,
პრობლემა – გლობალური, ანალიზი – სინთეზური,
ტრამპმა კარგად იცის, რა არის რამპა,
მაგრამ არ იცის შავი ზღვის აუზი.

მისტიფიკატორები გაწნილი სილით,
გონს გვიან მოდიან ნიშადურის სპირტით,
ჭეშმარიტებას შორდებიან ათასი მილით,
ზოგი – კონკისტადორი და ზოგი – პირატი.

გლობალიზაცია ისე, როგორც მისტრალი,
გვიახლოვდება ულტიმატუმებით,
დავიღუპებით, ჭკუას თუ არ ვისწავლით,
როდემდე ვიქნებით ასე გატრუნული?!

ქალბატონი დენიზა აზროვნებს ქართულად,
საუბრობს ქართულად, გვაფრთხილებს ქართულად,
არაფერს არ ამწვავებს, არაფერს არ ართულებს,
ვერ მოისყიდიან თურქული ალთუნით.

იცის პროფესორმა, ვინ მართავს მსოფლიოს,
იცის ქვისმთლელები და მათი ქსელები,
ისეთ პრობლემებს ნათელი მოჰფინა,
ძალიან ბევრს აუტყდა ციებ-ცხელება.

იცის, ვინ არიან ლოჟების ვაჟები,
და რატომ ამხედრდნენ ქრისტეს მხედრები,
ჩვენი ჩამქრალი გარიჟრაჟები,
ცხედრები, ცხედრები და კიდევ ცხედრები.

პროფესორი იკვლევს ბიბლიას და პერგამოს,
ფეხშიშველი დადის ანტიკურ წვიმაში,
თავდახრილი ვდგავარ მისი ნიჭის გამო,
როგორც მოწაფე მოძღვარის წინაშე.

ᲡᲢᲔᲩᲙᲘᲜᲘ ᲡᲔᲘᲤᲨᲘ

სეიფში მიდევს ტაბელური სტეჩკინი,
სეიფში მიდევს სტეჩკინი ტაბელური,
იმის გასროლამდე არაფერი გეტკინოთ,
მე ვარ მოქალაქე რესპექტაბელური.

სეიფში მიდევს სტეჩკინი ტაბელური,
სულში გიზგიზებს ცეცხლი მოწოლილი,
მეტაფორა მიყვარს რესპექტაბელური,
მაგრამ არ მიყვარს წიგნები ჩაწოლილი.

არა, არ მიყვარს მაკულატურა,
ლაპარაკი არ მიყვარს ხმაწეული,
მიყვარს სუფთა წერის მაღალი კულტურა,
ისე, როგორც ყვავილი ბროწეულის.

ცხოვრება ყოველდღე მიმატებს ვალებს,
ცხოვრება გახდა არასტაბილური,
ვერ ვეგუები კეკელა ქალებს,
ქალები მიყვარან რესპექტაბელური.

ცხოვრება ყოველდღე მიგზავნის ეკლებს,
სამშობლო ვერაფრით ვერ ვასახელე,
პატივი და დიდება საუკუნის ძეგლებს,
ვერ ვეგუები ძეგლებს უსახელოს.

ვერ ვეგუები დედების დარდებს,
პაოლო იაშვილის სიკვდილის სცენას,
მოწმენდილი ციდან ბოინგის ვარდნას,
საფანტით ხიდან შაშვების ცვენას.

ვერ ვეგუები ტრაგიკულ ზამთარს,
ყოვლისწამლეკავ ზვავებსა და მეწყერს,
რადგან ყველაფრის უფლება დამრთე,
ამიტომ ჩემგან არაფერი გეწყინოს.

ვერ შევეგუები უცენზურო ტრაბახს,
როცა მიკროფონთან ყელყელაობს ყვავი,
უადგილო აღაპს, უადგილო ყაბახს
მირჩევნია ვუყურო ბროწეულის ყვავილს.

მტრისას, უკეთურებთან შეგუების ნიჭი,
თუნდაც თავზემოთ არ იყოს ძალა,
ვეგუები, როცა ცხოვრება მიჭირს,
ვერ შევეგუები სამშობლოს ღალატს.

მოვკვდები ვიცი, პოეზიით მთვრალი,
თავს არ მოვიკლავ ცივი ტაბელურით,
როგორც პოეზია, ისე მიყვარს ქალი,
ქალიც, პოეზიაც – რესპექტაბელური.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 2020 Წ.

ნორმიდან აშოვარდნილი პუტინის „დემოკრატია“

რუსეთის რესპუბლიკის არსებობას მსხვილი წერტილი ესმება?

პუტინის მმართველობის განმახანგრძლივებელი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ საჩივრები უპასუხოდ რჩება. ამჯერად უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტების ადმინისტრაციული სარჩელი არ მიიღო, რომლითაც საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო კენჭისყრის 1 ივლისისთვის დანიშნვის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება საჩივრდებოდა. წინა შემთხვევების მსგავსად, მოსამართლეს უარის მოტივები არ აუხსნია. მანამდე ანალოგიური სარჩელით უზენაეს სასამართლოს მოსკოვის საქალაქო სათათბიროს დეპუტატებმა ევგენი სტუპინმა და ოლეგ შერემეტიევმა მიმართეს იურისტ სერგეი ბოჩაროვთან ერთად. სასამართლოს პასუხი მათ ამ დრომდე არ მიუღიათ.

მოსარჩელეების აზრით, კორონავირუსის ეპიდემიის პირობებში საყოველთაო კენჭისყრის ჩატარება „დანაშაულის ტოლფასია“. მათ სურთ, სასამართლომ ვერდიქტი 1 ივლისამდე გამოიტანოს, როცა კენჭისყრაა დანიშნული, თუმცა რეალურად, მის ჩატარებას ხელისუფლება უკვე 26 ივნისიდან დაიწყებს.

ფორმალურად, რუსეთში კოვიდ-ეპიდემიის გამო საგანგებო მდგომარეობა არ შემოუღიათ, ბოლო პერიოდში კი მოსკოვსა და არაერთ რეგიონში თვითიზოლაციის რეჟიმიც გააუქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად კოვიდ-ინფიცირების დაახლოებით 8 000 შემთხვევა აღირიცხება, ანუ მეტი, ვიდრე იმ დროს, როცა პრეზიდენტმა პუტინმა საკონსტიტუციო ცვლილებების 22 აპრილისთვის დანიშნული საყოველთაო კენჭისყრა სწორედ ეპიდემიის მოტივით 1 ივლისისთვის გადადო.

ერთ-ერთი მოსარჩელის — **დეპუტატ ევგენი სტუპინის** განცხადებით, ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონი საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამდენად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი ითვალისწინებს:

„თავად კენჭისყრის შესახებ კანონს ვერ გავასაჩივრებთ, მაგრამ უფლება და შესაძლებლობა გვაქვს, გავასაჩივროთ თარიღი. სარჩელი წარვადგინეთ, რადგან ვთვლით, რომ 1 ივლისისთვის ქვეყანაში ეპიდემია ვერანაირად ვერ დასრულდება. სადღეისოდ რუსეთში კორონავირუსისგან ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპება და ნათელია, რომ საარჩევნო უბნებზე ხალხი მასობრივად დაინფიცირდება. რა ზომებიც არ უნდა იქნეს მიღებული ადგილებზე, ეს ყველა შემთხვევაში ხალხის მასობრივი თავშეყრა იქნება, ამიტომაც ამჟამად ეს ღონისძიება სრულიად უადგილოა და მისი ჩატარება არავითარ გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს. შესაძლებელია მისი უფრო გვიანი დროისთვის გადატანა, როდესაც ვირუსი უკვე დამარცხებული იქნება. ასე, რომ ჩვენი სარჩელი ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის სურვილითაა განპირობებული“.

სტუპინის განმარტებით, სხვა საფუძვლებით (მაგალითად იმით, რამდენად კონსტიტუციურია ან არაკონსტიტუციური, რომ პუტინი 6 საპრეზიდენტო ვადით გადის) პრეზიდენტის ბრძანებულების გასაჩივრება შეუძლებელი იყო, თუმცა თავად რეფერენდუმის პროცედურა ერთმნიშვნელოვნად უკანონოა:

„სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლიც რომ ავიღოთ (საარჩევნო კომისიების მუშაობისა და საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლა), იგი ფორმალურადაც კი არ მიესადაგება ამ კენჭისყრას, რადგან მასში რეფერენდუმზე და არჩევნებზეა საუბარი, ხოლო ის, რაც 1 ივლისს იქნება, სრულიად გაუგებარი კონსტრუქციაა, რომელიც კანონიერ სივრცეს სცდება. გარდა ამისა, როგორც უკვე ცნობილია, მედიის წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების დასწრება ამ კენჭისყრაზე პანდემიის მოტივით გამორიცხეს, საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები კი საათში ერთხელ, 10 წუთით მარტონი დარჩებიან ურნებთან. ამასთანავე, მოსკოვში ჩატარდება ელექტრონული ხმის მიცემა — ეს ყველაფერი სრულიად არალეგიტიმურს ხდის პროცედურას. თუმცა ფაქტი ფაქტია, ხელისუფლება ამას ჩაიდენს, ჩვენ კი ამ ვითარებაში ვაკეთებთ იმას, რაც ძალგვიძს — ვცდილობთ, ამ სრულ უკანონობას კანონის ძალით შევეწინააღმდეგოთ“.

კიდევ ერთი მსგავსი სარჩელის ავტორი — **პოლიტოლოგი ვალერი სოლოვეი** ასევე დარწმუნებულია, რომ იქიდან გამომდინარე, როგორ ხდებოდა ცვლილებების ე.წ. საყოველთაო განხილვა, ეს ყველაფერი სრულიად არალეგიტიმურია და თან უკანონოც:

„ეს ყველაფერი წერტილს, ან, სულ მცირე, მსხვილ ჯვარს უსვამს 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული რუსეთის რესპუბლიკის არსებობას. საუბარი იმაზე კი არ არის, რომ პირობითად, ელცინის კონსტიტუცია პუტინისეულით იცვლება. რუსეთის რესპუბლიკა იმ სახით, რომლითაც ყალიბდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში, არსებობას წყვეტს. კონსტიტუცია მის იურიდიულ გაფორმებასა და პლატფორმას წარმოადგენდა. ეს რესპუბლიკა ამიერიდიან აღარ არსებობს“.

რატომ არის ხელისუფლებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, პლებისციტი 1 ივლისს - პანდემიის პერიოდში ჩაატაროს?

დეპუტატ სტუპინის აზრით, „სამომავლოდ ყველაფერი მხოლოდ გაუარესდება და ხელისუფლებამ ეს კარგად იცის“:

„მოქალაქეების შემოსავლები მცირდება და ამის კვალდაკვალ იკლებს ხელისუფლების რეიტინგიც. მმართველმა ძალამ მშვენივრად უწყის, რომ უკეთესობისკენ მისი მდგომარეობა არ შეიცვლება, ამიტომაც ჩქარობს. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ნებისმიერ რეიტინგზე ბევრად მნიშვნელოვანია. მათ არაფერი უშლით ხელს, ბრძანებულება შეცვალონ, ვადა გადაწიონ, ან სულაც უარი თქვან ამ პლებისციტზე. თუ პუტინს მისი ვადების „განულების“ გადაუდებელი აუცილებლობა დაუდგა, ადგეს და კანონი შეცვალოს“.

მოსწრების სურვილში ხედავს მიზეზს **პოლიტოლოგი სოლოვეიც**. მისი აზრით, **„ფუნდამენტური მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ვლადიმირ პუტინი ძალიან ჩქარობს და ეს მის პირად გარემოებებს უკავშირდება“.**

პოლიტოლოგი იხსენებს, რომ თავდაპირველად კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დაწყება მიმდინარე წლის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი და სურდათ, მთელი ეს პროცესი 1,5-2 წლით გაეწელათ.

„ასეთ შემთხვევაში ეს კიდევ ნორმალური იქნებოდა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ პუტინის პირად გარემოებებს, რომელიც მკვეთრად შეიცვალა, ახლა ის ძალიან ჩქარობს: პუტინისთვის აუცილებელია რაღაც სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც რუსეთს მის გარეშე გააკონტროლებდა, ამიტომაც წლის ბოლომდე ეს ბაზა უსიკვდილოდ უნდა ამოქმედდეს“, — განმარტავს სოლოვეი.

თუმცა არსებობს, ტაქტიკური მიზეზებიც და ერთ-ერთი მათგანი განწყობათა დინამიკას უკავშირდება:

„გადავადების ყოველი დღე აუარესებს საზოგადოების განწყობას ზოგადად ყველაფრის მიმართ, რაც ხელისუფლებისგან მომდინარეობს, მისი ყველა ინიციატივისადმი. გარდა ამისა, როდესაც პლებისციტის თარიღი განიხილებოდა, სახელდებოდა რამდენიმე ვარიანტი — ივლისის დასაწყისი და ბოლო, აგვისტოს დასაწყისი. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი სერგეი კირიენკო 1 ივლისს ლობირებდა — ამბობდა, „ხალხი უბრალოდ შვებულებებში გავა და ურნებთან ვეღარავის მოვიყვანთო“.

რა შედეგის მიღების იმედი აქვს ხელისუფლებას?

პოლიტოლოგ სოლოვეის ინფორმაციით, კირიენკო პუტინს 65%-იან აქტივობასა და ცვლილებების 73-75%-იან მხარდაჭერას დაჰპირდა.

„ეს თანაწონადია იმისა, რაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვიხილეთ. ვინაიდან პლებისციტი პუტინის მიმართ ნდობა-უნდობლობის დემონსტრირებად განიხილება, შედეგები მსგავსი უნდა იყოს. რას მივიღებთ რეალურად — ჯერ ძნელი სათქმელია, თუმცა ვიცი, რომ ცვლილებების წინააღმდეგ ხმის მიცემის განწყობა ხალხში საკმაოდ ძლიერია. სამწუხაროდ, ოპოზიცია დანაწევრდა: იმ დროს, როცა ერთი ნაწილი (და ამას მეც ვეთანხმები) ამბობს, რომ უნდა წავიდეთ პლებისციტზე და ვთქვათ „არა“, მეორე ნაწილი ბოიკოტირების მოწოდებით გამოდის. ძალიან კარგად ვიცი, რომ ბოიკოტი პრეზიდენტს აძლევს ხელს. მისთვის ეს ოპტიმალური გადაწყვეტილებაა. მას აწყობს, ისინი, ვისაც წინააღმდეგ შეეძლო ხმის მიცემა, არ მივიდნენ. თუ ბიულეტენს ურნაში უშვებთ, შედეგების გაყალბება ბევრად რთულია“, — დასძენს ვალერი სოლოვეი.

„აქცენტი“

ისტორიის წაშლა ამერიკულად

სამხრეთ კაროლინაში აშშ-ის მეშვიდე ვიცე-პრეზიდენტის ძეგლი აიღეს. ჯონ კალჰუნის მონუმენტის დემონტაჟი ქალაქ ჩარლსტონის საკრებულოს თანხმობით მოხდა. ინფორმაცია ტელეკომპანია „სიენენმა“ გაავრცელა.

ჯონ კალჰუნი სამხრეთ კაროლინაში დაიბადა, ის აშშ-ის ორი პრეზიდენტის დროს მუშაობდა ვიცე-პრეზიდენტად. კალჰუნი ამერიკის სამხრეთ შტატებში მონათმფლობელობის პოლიტიკის მთავარ იდეოლოგად ითვლებოდა.

პრეზიდენტს ტრიბუნალმა ბრალდება წარუდგინა

კოსოვოს პრეზიდენტ ჰაშიმ ტაჩის ჰააგის სასამართლომ ბრალი წარუდგინა სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. 10-პუნქტიანი ბრალდების წარდგენა დაემთხვა ჰაშიმ ტაჩის დაგეგმილ ვიზიტს შეერთებულ შტატებში, სადაც მან მოლაპარაკებები უნდა გამართოს სერბეთის ლიდერთან, აშშ-ის პრეზიდენტის შუამავლობით.

კოსოვოში ჩადენილი დანაშაულების გამოძების საგანგებო ტრიბუნალის მიერ მომზადებული ბრალდების მიხედვით ჰაშიმ ტაჩის და სხვებს ბრალად ედებათ კოსოვოს კონფლიქტის დროს, 1998-99 წლებში, ადამიანთა მკვლელობა, წამება და გატაცება. იუწყებიან, რომ საუბარია 100-ზე მეტი ადამიანის მკვლელობაზე. დანაშულების მსხვერპლნი არიან კოსოვოელი ალბანელები, სერბები, ბოშები და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

ჯარები ძეგლებს დაიცავენ

აშშ-ის ეროვნული გვარდიის 400 ჯარისკაცი ვაშინგტონში ძეგლებს დაიცავს ვანდალებისგან. „23 ივნისს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის თხოვნისა და თავდაცვის მდივნის სანქციის საფუძველზე ეროვნული გვარდიის დაახლოებით 400 ჯარისკაცი პარკების პოლიციას მხარდაჭერას გაუწევს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, — ნათქვამია განცხადებაში. უწყებაში ასევე აღნიშნეს, რომ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები ძირითადად იმ ზონებში იმოქმედებენ, სადაც ძეგლებია განთავსებული.

23 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იმ პირების დაკავების განკარგულება გასცა, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე ძეგლებს ანადგურებენ. „ფედერალურ მთავრობას უფლებამოსილებას ვანიჭებ ნებისმიერი პირი დააკავონ, ვინც ძეგლებს, ქანდაკებებს ან მსგავსი ტიპის სხვა ფედერალურ ქონებას ანადგურებს, რაც 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს“, — დაწერა დონალდ ტრამპმა Twitter-ზე.



დაღმასვლა სამსაფეხურიანი კიბით

სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორმა ტონი უის-კორეიმ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოიტანა დასკვნა, რომ ადამიანები სიბერისკენ პირველ ნაბიჯს დგამენ 34 წლის, მეორეს – 68 წლის, მესამეს კი 78 წლის ასაკში.

18-დან 95 წლამდე ოთხი ათასი მოხალისის სისხლის ანალიზებზე დაყრდნობით, მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ ადამიანის ასაკის დადგენა მის სისხლში არსებული ცილებითაა შესაძლებელი. თურმე, **ყოველ ასაკს განსხვავებული ცილები, უფრო სწორად კი მათი ერთობა შეესაბამება, რომელსაც პროტეომი ეწოდება.**

სისხლის პლაზმაში მოხვედრილი ცილების მესამედი იცვლება ასაკის მატებასთან ერთად. ზოგადად, **ცილები დაბერების ბუნებრივი მაჩვენებელია, თუმცა შესაძლოა, სიბერის მიზეზიც გახდნენ.**

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ **წლების განმავლობაში პროტეომი არა თანდათანობით, არამედ ნახტომისებურად იცვლება: 34, 60 და 78 წლის ასაკში.** რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამ დროს ორგანიზმი გარკვეულ უარყოფით საყოველთაო ცვლილებებს განიცდის, დეგრადირებს.

ამდენად, **ადამიანები საფეხურებრივად იცვლებიან, ხოლო საიქიოსკენ მიმავალი საფეხური სულ სამია.** ამ ცვლილებათა მიზეზს მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ მიაგნეს, თუმცა შეამჩნიეს, რომ სხვადასხვა ორგანოები შეიძლება განსხვავებული სიჩქარით ბერდებოდნენ. მათ მიერ წარმოებულ ცილებში ცვლილებები კი ნათლად იმაზე მიანიშნებენ, რომ გარკვეული ორგანო უდროოდ დაბერდა, რაც სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

თუკი მეცნიერები შეძლებენ იმის დადგენას, თუ როგორაა დაბერების პროცესები დაკავშირებული პროტეომთან, მაშინ შესაძლებელი გახდება მათზე ზემოქმედება და სიბერის „უკუღმა“ წარმართვის, ანდა, თუნდაც პროცესის შენელების ცდა.

გონიერი ღრუტუნა

ემორის (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევრებმა გოჭების ინტელექტის დონე (IQ) შეაფასეს და ისინი ლამის... მოაზროვნე არსებებს მიაკუთვნეს!..

– შინაური ღორები, განსაკუთრებით კი გოჭები, აღიარებულ „ტვინიკოსებს“ – ძაღლებს, შიმპანზეებს, სპილოებსა და დელფინებს გონიერებით არაფერში ჩამორჩებიან, – ირწმუნება ნევროლოგი **ლორი მარინო.**

კოლეგებთან ერთად, მკვლევარმა სხვადასხვა ცხოველის ინტელექტუალური ჩვევები შეისწავლა, რის შემდეგ დაასკვნა, რომ ღორებს აქვთ კარგი მეხსიერება, ისინი საუცხოოდ იკვლევენ გზას ლაბირინთებში, იმეორებენ მოქმედებათა რთულ თანამიმდევრობას, ესმით სხვადასხვა საგნის დანიშნულება.

დოქტორ მორინოს აღიარებით, მან განსაკუთრებით „გერმანელი“ გოჭი მორიცი გამოარჩია, რომელმაც 3-4 წლის ბავშვების თამაში აითვისა: ის უშეცდომოდ სვამს ფერად ფიგურებს შესაბამის ნიშებში.

ჩვენ კი დაგვიჩემებია – „შემწვარი გოჭიო“...

მწვანილი და... სიფრთხილე

პროდუქტების ხარისხზე სანიტარიული კონტროლის ამერიკის შეერთებული შტატების სამმართველოს განცხადებით, 2016-2019 წწ პერიოდში ქვეყანაში ნაწლავური ინფექციის 46 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთა მიზეზი მწვანილი, სალათა რომენი, ისპანახი და ა.შ. იყო.

მსგავსი შემთხვევები ევროპაშიც დადგინდა. როგორც წესი, მიზეზი ნაწლავური ჩხირის შტამებია, რომლებიც მძიმე ხარისხის მოწამვლას, ზოგჯერ კი სულაც, სიკვდილს იწვევს.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ამის გამო მწვანილის მოხმარებაზე უარის თქმა არ შეიძლება, უბრალოდ, საჭიროა – მწვანილი, განსაკუთრებით კი მისი ფესვების მიმდებარე ნაწილები, უფრო მეტად გაირეცხოს. უსაფრთხოების მიზნით, მწვანილს წყალი უნდა დაესხას და კარგად აირიოს, შემდეგ კი კიდევ ერთხელ გაირეცხოს გამდინარე წყლით.

მავნე ტკბილეული

ხშირად **გვსმენია – ტკბილეული ჯანმრთელობისთვის „არც მთლად მარგებელია“. საინტერესოა, ეს გამოთქმა ყველა სახეობის ტკბილეულობას ეხება თუ მათში მაინც მუშაობს „მეტ-ნაკლებობის“ პრინციპი?**

ამის დასადგენად შეგვიძლია, ვისარგებლოთ ზოგადი ფორმულით: **რაც უფრო რთულია ტკბილეულის შემადგენლობა, მით უფრო მავნეა ის.** ყველაზე მავნედ კი ფრიტიურში შემწვარი ტკბილეული – **„ფიჩხი“, „ჩაკ-ჩაკი“** და **ფუნთუშებია** მიჩნეული, რომელთა შემადგენლობაში მარტივი შაქრების დიდი ოდენობა ტრანსცხიმებთან შეხამებაში აშკარად მავნე ნაზავია. მეორე ადგილზეა **ცომისსაფუარიანი დესერტები,** მესამეზე – **შოკოლადის დიდი ოდენობით კრემის შემცველი ტორტები.**

გარდა ამისა, მიკრობიოლოგიის თვალსაზრისით, **სახიფათოა ყველა ცილოვანი დესერტი, ანუ ისეთები, რომლებშიც უმ ცილებს იყენებენ, ანდა თუ კვერცხი ბოლომდე არ ცხვება.**

ყველა პარამეტრით უსაფრთხოა – **მარმელადი, ზეფირი** და **მწარე შოკოლადი.** საერთოდაც, **მონოტკბილეული (ფილის შოკოლადი, მურაბა, თაფლი) რთულად შედგენილ ნუგბარზე ყოველთვის უკეთესია.**

მოქნილი პოლიტიკის წყალობით

ქალბატონებისთვის ყველაზე საუკეთესო ქვეყანა დანია ყოფილა.

ევროკავშირის ექსპერტთა მონაცემებით, ევროზონის ქვეყნებს შორის **დანია** ყველაზე მოქნილ საოჯახო პოლიტიკას ატარებს იმ მეუღლეთა მიმართ, რომლებიც უკვე გახდნენ მშობლები. დანიის შემდეგ რეიტინგში მოდიან **შვედეთი, კანადა** და **ავსტრალია,** სადაც მთავრობებში, დიდ კომპანიებსა და უნივერსიტეტებში წამყვან პოზიციებზე ყველაზე მეტი ქალბატონია.

ეს სახიფათო ველოსიპედი

საყოველთაოდ **ცნობილია, რომ ველოსიპედი საუკეთესო საშუალებაა გულის, სასუნთქი ორგანოებისა და გამძლეობის გასავარჯიშებლად.**

მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი უროლოგი ი. ჰოლდშტეინი ამბობს: **„არსებობს ველოსიპედისტების ორი ტიპი – ისინი, ვინც უკვე არიან იმპოტენტები და ისინი, ვინც მალე გახდებიან, იმპოტენტი“.**

პრობლემა, თურმე, ველოსიპედის დასაჯდომში ყოფილა. ველოსიპედისტის მთელი დატვირთვა ერთ მცირე ზონაზე მოდის, რომელშიც სისხლძარღვი და ნერვი გადის, რომლებიც კვებავენ და არეგულირებენ გენიტალიებს. მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ პედლების სამი წუთის განმავლობაში ტრიალის შემდეგ, სისხლის მიდინება მამაკაცის სასქესო ორგანოსთან საგრძნობლად იკლებს, ზოგჯერ კი სულაც იკეტება. ეს შესაბამის ადგილას დაბუჟების შეგრძნებას იწვევს, ამიტომაც, ვისაც მსგავსი შეგრძნებები აქვს, ველოსიპედთან ძალიან ფრთხილად უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, სპეციალისტები აცხადებენ, რომ პროფესიული ველოსიპედისტობა საკმაოდ სახიფათოა. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ სკვითების გადაშენების პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ ბიჭუნების ცხენზე ჯდომის სწავლება 4 წლიდან დაიწყეს – სასქესო ორგანოთა ქრონიკულმა ტრავმებმა ისინი უშვილოებად აქცია.

თოჯინები კი იცინიან...

ყველამ ვიცით, არიან შეძლებული ადამიანები, რომლებიც უბრალოდ, სხვებზე უკეთ ცხოვრობენ, კიდევ არიან მდიდარი და „უსაშველოდ“ მდიდრები, რომლებიც თავიანთი ფინანსური კეთილდღეობის წარმოსაჩენად თავისებურად „უჟუილებენ“.

ფუფუნების ბოლო „ჩხავილი“ ევროპაში ატლანტიკის ოკეანის გაღმიდან მოვიდა: ამერიკელმა დიზაინერმა KAWS-მა უცნაური იერის სათამაშოების გამოშვება დაიწყო, რომლებსაც ტრადიციულ სასაცილო ცხოველებთან, ანდა იგივე ამერიკულ თოჯინა ბარბისთან, მის მეგობარ კენთან და მათ სახლებთან თუ ჩაცმულობასთან, საერთო არაფერი აქვთ.

თანაც, ამ საკოლექციო „სათამაშოების“ ფასი მართლაც რომ „გიჟურია“: ზეფუფუნების „პაპის“ იშვიათ ქმნილებათა შეძენა „სულ რაღაც“ 300-500 დოლარიდან 700 ათას დოლარამდე(!) თანხად შეიძლება!

გენიოსები ნამეტნავად მსგავსი ბიოგრაფიებით

**„...გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისა,
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა, არის ერთისა წამისა“**

რუსთაველი

დაახლოებით 60 წლის წინათ, უფრო ზუსტად 1959 წლის იანვარში, იმ დროისათვის, არც თუ ისე ცივ, თბილისურ საღამოს, რუსთაველის პროსპექტზე ჩვეულებრივზე მეტი ხალხმრავლობა და ფუსფუსი შეინიშნებოდა. რუსთაველისვე სახელობის, საქვეყნოდ ცნობილი თეატრის სცენა: აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზაქარიაძის, ეროსი მანჯგალაძის, კოტე მახარაძის და სხვა დიდებულ მსახიობთა ასპარეზი, დროებით მსოფლიოს ელიტარული ჭადრაკის დიდოსტატებს „დაეპყროთ“ – ქართული ჭადრაკის მოყვარულთა თვალწინ, დღითი დღე ძალას იკრებდა საბჭოთა კავშირის პირველობა ვაჟთა შორის.

შესვლა თავისუფალი იყო – ჭადრაკის მოყვარულები, მოსალოდნელი პაექრობის სიმძაფრის შესაბამისად (ცნობებს თეატრის სცენაზე მოასპარეზეთა პარტიებში მოსალოდნელი ბრძოლების ინტენსივობის შესახებ, შეიძლება ითქვას, წამით-წამზე იღებდნენ პროსპექტზე მოსეირნენი) ავსებდნენ დარბაზს, ხოლო, როცა „საქმეს შეუდგებოდა“ ზემოთნახსენები ელიტის სული და გული, სრულიად ახალგაზრდა, რიგელი „ჭადრაკის ჯადოქარი“ მიხეილ ტალი, პროსპექტი თითქმის უკაცრიელი ხდებოდა: არვის უნდოდა ასცდენოდა იმ სიამოვნებას, რომელიც შეიძლებოდა განეცადა – პროსპექტის გასწვრივ ჩარიგებული უზარმაზარი ჭადრების ტოტებზე, საზამთროდ აქა-იქ, შემთხვევით შემორჩენილი, დროდადრო მოწყვეტილი და რიგელი დიდოსტატის ფერხთით ფარფატით დაგებული ფოთოლივით – მორიგი დათრგუნული მსხვერპლის ხილვით!

იმ საღამოსაც რუსთაველზე ხმა დაირხა: ტალმა საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა მსუბუქი და მძიმე ფიგურების ნაზავი და საცაა შეუდგება ჩვეულ „დიდ რბევას“, „მტრის პირისაგან მიწისა აღგვას“, თუმც, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: არც მისი იმდღევანდელი ვიზავი იყო ჯაბანი – კარგა ხანია, ჭადრაკის სამყაროსათვის კარგად ცნობილი, ისიც კომბინაციებისა და შეწირვების არც თუ დიდად უგულვებელმყოფელი, ოდესელი გროსმაისტერი – ლევ პოლუგაევსკი!

...ჩვეულებრივ აივსო პარტერი, გაიჭედა ლოჟები, გადაიჭედა იარუსები – ჭადრაკის ქომაგი ისეთი ჟინით და ენთუზიაზმით შეუდგა უსაშველოდ ხმაურიან გულშემატკივრობასა და ხმის ჩახლეჩვამდე ჭადრაკის დაფაზე „ცუნამებისა“ და „ციკლონების“ წარმომქმნელის სახელის სკანდირებას, თითქოს ფეხბურთის თავაწყვეტილი ქომაგებით გაძეძგილ „დინამოზე“ ისხდნენ და ტალის სეხნია, ამჯერად ფეხბურთის უდიდესი დიდოსტატის, მიხეილ მესხის ფინტებით რეტდასხმულის, თავგზააბნეულ-გაბითურებულისა და, ამდენად, რაიმე ღირებულების შექმნისგან განიარაღებულის, უმწეობის ხილვით ლაღობდნენ!

და, აი ...ჩვენ თვალწინ ვითარდება შთამომავალთა განსაცვიფრებელი, ისტორიულად შესანარაცხი პერიპეტიები და ფაქტები – თითქოს 2000 წლის წინათ მოღვაწე, უდიდესი ბერძენი ბიოგრაფისა და ბრწყინვალე მწერლის პლუტარქეს სცენარით მიმდინარე ტალისა და მესხის გასაოცრად მსგავსი პარალელები, მათი ამქვეყნად არსებობის ძალიან მოკლე, მაგრამ სასწაულებით აღსავსე, შეწონასწორებული ცხოვრების ფაქტებისა.

...დაბადებულა – ერთი მათგანი 1936, მეორე კი – 1937 წელს.

როგორც პიროვნებები და პროფესიონალები, ისინი გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდნენ.

1959 წელს ტალმა მონაწილეობა მიიღო მაშინდელი იუგოსლავიის (ბლედი, ზაგრები, ბელგრადი) მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში და მოიპოვა უფლება, მისთვის საოცნებო, მსოფლიო საჩემპიონო, მატჩში თვით დიდ მიხეილს – ბოტვინიკს შებმოდა!

1960 წელს, მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროსთვის, მეტად საინტერესო პაექრობა შედგა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბოტვინიკი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ მატჩს. მას საგონებელში აგდებდა დროდადრო მიხეილ ტალის წამოწყებული, შეიძლება ითქვას – ბავშვური საჭადრაკო პროვოკაციებიც, რომლებშიაც „ქაოსის გენიოსი“ თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში და რაც მატჩში ტალის ყულაბის შევსებას აჩქარებდა!

ბოლოს და ბოლოს იგი, 22 წლისა – მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა, ყველაზე სწრაფად, ერთ წელიწადში, 1960 წელს დათმო მოჭადრაკისთვის ყველაზე სანუკვარი ტიტული (ბოტვინიკმა იგი მატჩ-რევანშით დაიბრუნა) და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ექს-ჩემპიონად მოევლინა!

ამასობაში, უფრო ზუსტად, 1959 წლის 6 სექტემბერს, მიხეილ მესხმა მოსკოვში „ლუჟნიკეზზე“ პირველად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ, 120 ათასი მაყურებლის თვალწინ საფეხბურთო სასწაულები მოახდინა და თავიანთ ქმედებებზე კონტროლდაკარგულ მაყურებელს, ხმის ჩახლეჩვამდე, სულ „მეს-ხი, მეს-ხი“ აძახა.

და, ღვთის მადლით, რაოდენ გვეამაყებოდა ის, რომ ქართველის ქმედებით გამოწვეულ ზარზეიმს, ჩვენი, ქართველ სტუდენტთა თავდაუზოგავი, მჭექარე ბანიც უმაგრებდა ზურგს!

– ვოტ, ზემლიაკ! ყოველი მხრიდან ისმოდა კრაზანასავით თავსდახვეულ რუსთაგან – მათ ძალა აჩვენე და სულში ჩაგიძვრენენ!..

წინასადიპლომო პრაქტიკის ფარგლებში, თითქმის თვენახევრის განმავლობაში, ბალტიისპირული, ჩვენთვის მეტად საინტერესო ქალაქების (ვილნიუსისა კაუნასით, რიგისა – იურმალით, ტალინისა – ტარტუთი), მაშინდელმა ლენინგრად და მოსკოვმოვლილებმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის სპეციალობის დიპლომიანებმა პირველად ცხოვრებაში, დედ-მამაზე, და-ძმაზე და სამშობლოზე უსაშველოდ დანატრებულებმა, ნოსტალგირებულმა ოთხეულმა – მარად კეთილმოსაგონრებმა: ლევან ჯანდიერმა (შემდგომში თვით რუსთაველის პრემიის ლაურეატმა – ადამიანობისა და კაცობის მეტრმა!), ომარ კიკნაძემ (ერთხანს ქალაქ რუსთავის მთავარმა არქიტექტორმა), არქიტექტორებმა: იაზონ მაჭავარიანმა და თქვენმა მონა-მორჩილმა (დანარჩენებმა „თავს უშველეს“ და სასწრაფოდ თბილისში გადაფრინდნენ), ერთი დღითაც გავუძელით ნოსტალგიურ ცდუნებას და ისევ და ისევ ღმერთის შეწევნით, ცხოვრებაში მარადჟამ სახსოვარი, უზომოდ ქართულ-მესხური სულიერი განძი მოვიპოვეთ... უსასრულოდ სულდასამჩნევი და საშვილიშვილოდ გარდასაცემი!..

1960 წლის ივლისის ერთ საამოდ მოსაგონარ საღამოს, „პარკ დე პრენსზე „ევროპის მაშინდელი ორი უძლიერესი გუნდი – საბჭოთა და იუგოსლავიური, არკვევდა ევროპის პირველი ჩემპიონის ვინაობას, რომელსაც მაშინ ევროპის თასის მფლობელი ეწოდებოდა. ნაკრებში გამოძახებულ ოთხ თბილისელთაგან, სამი (მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი) მოედანზე იყვნენ და ევროპის პირველჩემპიონობისთვის იბრძოდნენ; მეოთხე, ზაურ კალოევი კი თადარიგში იყო.

ფინალური მატჩის ძალიან მოკლე – თითქმის მშრალი სტატისტიკა, ასე გამოიყურება: პირველ ტაიმში იუგოსლავიელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარში მეტრეველმა გაათანაბრა იგი – მის განუწყვეტელ თარეშს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მოჰყვა ეს გოლი!

...დაბოლოს დადგა მიხეილ მესხის ჯერიც! თამაშში (ლაპარაკია არა მარტო პარიზის მატჩზე), იყო მონაკვეთი, როცა იგი, ყველაფრიდან გამორთული, ზოგიერთების აზრით ისვენებდა, უფრო მეტიც – ზარმაცობდა კიდეც! მაგრამ ეს ყოველივე მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში მას, ყოველ წამში შეეძლო აფეთქება და მტრისას, ვინც მისთვის გზის გადაღობვას შეეცდებოდა: უკან რჩებოდა ნარბევი და ნაპარტახალი მოწინააღმდეგის დაცვა და უმეტეს შემთხვევაში – გოლი მათ კარში, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა. აღსრულებული, ან თვით დაცვის დამწიოკებლის ან, უმეტესწილად, როგორც თავდასხმის ცენტრის („დინამოში“, მეორე სართულის მეფის ზაურ კალოევის, ნაკრებში კი კარგი ფეხბურთელისა და ასევე კარგი პიროვნების, როსტოველი ვიქტორ პონედელნიკის) თავით ნამუშევარი.

თამაშში აშკარად ჩანდა, მსოფლიო დონის გარემარბთა დაუღალავი შრომა, გოლის გამტანი თავდასხმის ცენტრის თავის მოსაძებნად და ეს ყოველივე ისე თვალნათლივ ხდებოდა, რომ ერთმა გულშემატკივარმა, „ლელოს“ ფურცლებზე, განაწყენებულ ბურთს საყვედურიც კი ათქმევინა: „ყველა თავდასხმის ცენტრთან გვგზავნის, ის კი თავიდან გვიშორებს – კარში გვაგდებსო!

როგორც ზემოთ ითქვა, როდესაც მისი ჯერიც დადგა, ჩვეულებრივ აფეთქებულმა მესხმა, თავისებურად, დაიფრინა მოწინააღმდეგის დაცვა, ადვილად მოძებნა საჭირო თავიც პონედელნიკისა, რომელმაც ოდნავაც არ დაახანა და„იუგებს გამარჯვების გოლი შეუგდო!

შემდგომ წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრების, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სტადიონებზე ტრიუმფალური ტურნეს დროს, ურუგვაიში მორიგი მატჩის დამთავრების შემდეგ, ადგილობრივი გუნდის გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა შეძლო მესხისა და მეტრეველის დამარტოხელება, მათი მაისურების დაუფლება, წამებში ნაფლეთებად ქცევა და ძვირფას სუვენირებად დანაწილება! ნახევრად შიშვლები კი – დიდი პატივითა და მოწიწებით გასახდელამდე მიაცილეს!..

ამასობაში, საქართველოს რჩეულთა შორის რჩეული, დაასახელეს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ და მეოცე საუკუნის საოცნებო გუნდის წევრად!

თბილისის „დინამოში“, საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ და ქართული ფეხბურთის ისტორიას ქმნიდნენ დიდი ფეხბურთელები, იბრძოდნენ რა უსინდისო, მოსყიდულ არბიტრთა და მოსკოვში მოკალათებულ, შოვინისტ ფეხბურთის მესვეურთა უსამართლობის წინააღმდეგ. ვერც დიდი მესხი გადაურჩა მათ ბინძურ, მსახვრალ ხელს... ნახეთ, რა მოხდა:

1963 წლის დასაწყისიდან, სპორტულ პრესაში გახშირდა უპრეცედენტოდ უძლიერესი შემადგენლობებით, საფეხბურთო მსოფლიო ნაკრებთა გამოქვეყნება, რომელთა ძირითადი ბირთვი, დაახლოებით ასეთი იყო: რა თქმა უნდა, ყველა მათგანი იწყებოდა პელეთი და, შემდეგ... დი სტეფანო, პუშკაში, გარინჩა, ბეკენბაუერი, ეუსებიო და კიდევ, რამდენიმე სხვასთან ერთად, აუცილებლად მიხეილ მესხი!

დადგენილ დღეს „უემბლიზე“, საუკუნის მატჩად მონათლული თამაში შედგა, მაგრამ ჩატარდა იგი მიხეილ მესხის გარეშე – სრულიად ჯანმრთელისა და საფეხბურთო ზენიტში მყოფის გარეშე. ბარემ აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მესხი 1966 წელს, ინგლისშივე ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატსაც არ გააკარეს. ფეხბურთის საქმეებში ოდნავ ჩახედულიც კი გეტყვით, რომ იმ წლებში განსაკუთრებით დაიჩაგრა მიხეილ მესხი, რომელთანაც ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა, დაუფარავად შოვინისტი, უსაზღვროდ ქართველთმოძულე კონსტანტინ ბესკოვი. მან და მისმა ამფსონებმა თამაშგარეში დატოვეს და მსოფლიოს დაუმალეს ფეხბურთის საოცრება! ბესკოვი კარგა ხანია ცოცხალთა შორის აღარაა – დარწმუნებული ვარ, რომ უსაშველო უფსკრულში თან ჩაიტანა ქართველ ფეხბურთელთა და, საერთოდ, საქართველოს მიმართ ჩადენილი უმძიმესი ცოდვები!

ეს წლები არც მიხეილ ტალისთვის იყო ვარდებით ნაფენი. მესხის მსგავსად, დრო და დრო მასაც სწვდებოდა მესხზე გავარჯიშებული მსახვრალი ხელი. ხელოვნურად შექმნილმა პრობლემებმა, შინაგან ორგანოებზე გაუთავებელმა ოპერაციებმა, მთელი ცხოვრების მანძილზე დაულაგებელმა პირადმა ცხოვრებამ თავისი გაიტანეს და ხანმოკლე სიცოცხლე 55 წლის ასაკში დაამთავრეს.

აი, როგორ იხსენებენ მას ახლობლები და მეგობრები: **„იგი ჭადრაკის არც ერთ წესს არ ემორჩილებოდა და სიცოცხლის ბოლომდე ასეთი დარჩა – მოძრავი, სულსწრაფი, მოცინარი, ნიჭიერი, დარდიმანდი, მოქეიფე და, რაც მთავარია – უაღრესად კეთილი ადამიანი, რომლის ლექსიკონში სიტყვა – „არა“ არ მოიპოვებოდა“.**

იგი მეტეორივით შემოიჭრა საჭადრაკო სამყაროში – მუშტისოდენა თვალებით, რომლიდანაც ლამაზი სულის, დედამიწაზე უჭკვიანესი ადამიანი იცქირებოდა!

ახლა კი ნახეთ, როგორ იხსენებენ მიხეილ მესხს: **„მაგარი მოქეიფე იყო... სამაგალითო მეგობრობა შეეძლო. მსოფლიო დონის ფეხბურთელი იყო და, ამავე დროს, უდიდესი პიროვნება გახლდათ – თავმდაბალი და კეთილი: მეზობლებზე, მეგობრებზე და ნათესავებზე გადაგებული კაცი, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი!..“**

აქაც როგორი იდენტურობაა?!. რომ არა სიტყვები: ჭადრაკი, ფეხბურთი, ალბათ ვერც გავარჩევდით, რომელ მონაკვეთში ვისზეა საუბარი.

როგორც ტალმა, მესხმაც ძალიან ცოტა იცოცხლა. აი, მათი ამქვეყნად არსებობის უმოკლესი სტატისტიკა:

მიხეილ ტალი: 1936-1992.

მიხეილ მესხი: 1937-1991.

განსაცვიფრებელი დამთხვევაა თარიღებშიც!..

ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, უმკაცრესი სპორტული რეჟიმით ნაცხოვრები, თითქოს დანაკარგს ინაზღაურებსო, უკონტროლო სმა – კვებამ, მკვეთრად შეცვალა მესხის გარეგნობა და მოგვანატრა ის მოხდენილი პიროვნება, წლების განმავლობაში ტრიბუნებიდან რომ შევხაროდით!..

ბოლოს კი, ცოტა ხნით თბილისში, ისევ რუსთაველის პროსპექტსა და პირთამდე გადაჭედილი თეატრის დარბაზს დავუბრუნდეთ. ეს მხოლოდ იმისთვისაც კი უნდა გავაკეთოთ, რომ მადლობა ვუთხრათ უკრაინელ დიდოსტატს ლევ პოლუგაევსკის, ქართველ ჭადრაკის მოყვარულთა დიდი დაფასებისთვის. მან ყველაზე კარგად იცოდა, რაც მოელოდა მის მეფეს, ტალის გონებაში, გადახარშული კომბინაციით – სამი-ოთხი სასწაულებრივი შეწირვის შემდეგ, მერვე ჰორიზონტალის მარცხენა კუთხისკენ გაქცევის შემდეგ!

...იგი, ქართველ ჭადრაკის მოყვარულთა თვალწინ, ზეზეულად შეხვდა უკანასკნელ საშამათო განსაცდელს!..

...თითქმის ყველა ჭადრაკის მოყვარული ქართველი, თქვენი მონა-მორჩილიც, მათ შორის ჩემი მეგობრებიც, პირშეკრულებივით ვიხსენებდით უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის) საინტერესო ნაწარმოების „მამლუქის“ ბოლო ფრაზებს:

„...ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“!

...ვიხსენებდით და ტალისა და პოლუგაევსკის შერკინებას ვუსადაგებდით:

„...ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო ლატვიელი და არც მეორე – უკრაინელი.

ორივენი ბედკრული ისრაელის შვილები იყვნენ!“

...თუმცა, ორივე მათგანს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მეორე სამშობლო!

ჯემალ ჯანელიძე

P. S. **ბოლოს კი, მინდა ცოტაოდენი რამ ვთქვა საკრალურ სიტყვა „ბედკრულზე“ – იგი, თითქოსდა საგანგებოდ, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი – საქართველოსა და ისრაელის „ბედ-მდევრის“ აღმნიშვნელად შექმნა არსთა გამრიგემ – გაგიგიათ ოდესმე გამონათქვამები: „ბედკრული გერმანია“, „ბედკრული საფრანგეთი“ და ა. შ.**

...რა თქმა უნდა, არა – ოდნავადაც არ ჟღერენ ისინი, რადგან მდგომარეობა, რომელიც სიტყვა „ბედკრულით“ გადმოიცემა – ჩვენს ქრონიკულად უბადრუკ ყოფას ასახავს... მუდამჟამ ჩვენი მიწა-წყალი გაუმაძღარ-დაურწყულებელ ახლო მეზობელთაგან, შუბლში ტყვია დამიზნებულებისას!..

ასე იყო ათადან და ბაბადან და ასეა დღესაც – გაგანია ოცდამეერთე საუკუნეშიც!..(ჯ.ჯ.)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქმე №01-30/2020

ქ. თბილისი 25 ივნისი, 2020 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲙᲕᲘᲔ:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძის, ნინო გურგენიძის, ეკატერინე სადრაძის, ვასილ ებრალიძის, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

არბიტრაჟის უწყება საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს – გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს, მაგრამ ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი უწყება ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

ᲡᲐᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔ:

1. მოპასუხეებს გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს, რომ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის განხილვა შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ, დანიშნულია 2020 წლის 31 ივლისს, 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

2. გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

3. გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საარბიტრაჟო კოლეგია მამუკა ღვინიაშვილის, თეა ხამხაძის და ლაშა კალანდაძის შემადგენლობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო კოლეგიის (კოლეგიის რომელიმე წევრის) აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

4. გედეონ სამარგულიანს, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს განემარტოთ, უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

5. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

6. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ალექსანდრე ჭელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალექსანდრე ჭელიძე (პ/ნ 01024016052), ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2ა, ბინა №40

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2ა, ბინა №40 (საკადასტრო კოდი: 01.18.03.009.003.01.040).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 210755.98 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 26 ივნისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 8 ივლისი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66357420;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 663574

6. **მოვალე:** ალექსანდრე ჭელიძე (პ/ნ 01024016052), ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2ა, ბინა №40.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66357420; ლოტის ნომერი: 663574).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 8 ივლისის 10:00 საათამდე.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲙᲔᲢᲘ „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡ“ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ!

ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ საქმეში ფიგურანტი ერთ-ერთი ავტომობილის მგზავრების ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე ირწმუნება, რომ გარდაცვლილის მეგობარი გუკა ამირხანაშვილი მისი დაცვის ქვეშ მყოფებმა ავტომობილში დახმარების მიზნით ჩაისვეს.

ადვოკატი მოწმეზე დაყრდნობით აცხადებს, რომ „ტოიოტა კამრის“ მისვლის შემდეგ შემთხვევის ადგილზე გიორგი შაქარაშვილი აღარ ყოფილა.

„ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მათი ბრალეულება ნულის ტოლია, გუშინ ერთ-ერთმა მოწმემ, კერძოდ, ფოტოგრაფმა ისაუბრა, იმაზე, რაც თავისი თვალით დაინახა, კონკრეტულად, მან თქვა, რომ, როდესაც მანქანა გაჩერდა, გაიქცა ორი ადამიანი, ერთი თვითონ იყო, მეორე კი - გიორგი, თუ მის ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფები, როდესაც ჩნდებიან ადგილზე, გიორგი იქ აღარ იყო ამ დროს, აღნიშნულმა პირმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ ბოლო მანქანის მისვლის დროს გიორგი უკვე აღარ ჩანს შემთხვევის ადგილზე, აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ „ტოიოტა კამრის“ მგზავრები გიორგის იქ ყოფნის პერიოდში არ მისულან, ამიტომ არ უნდა მოხდეს ამ ადამიანების დისკრედიტაცია,“ – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

ადვოკატი ამბობს, რომ რკინის ხელკეტები „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში იყო.

„გუშინ კიდევ ერთი დეტალი გაირკვა, კერძოდ „მერსედესში“ მყოფმა პირმა აღნიშნა, რომ დაინახა, თუ რა მიმართულებით გარბოდა გიორგი, გამოდის, რომ მერსედესში მჯდომის ჩვენება ლოგიკურია, აქედან გამომდინარე, როცა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფები მივიდნენ, გიორგი იქ აღარ იყო. მოტივი მათი იქ მისვლის იყო ის, რომ „მერსედესში“ ვინც იყვნენ, მათ დაურეკეს და ეძებდნენ მისიანებს, რათა კონფლიქტი აერიდებინათ. როგორც ირკვევა, რკინის ხელკეტები სხვა მანქანიდანაა ამოღებული, ალბათ „მერსედესიდან.“ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვისაუბროთ ავტომანქანების მგზავრებზე, ეს 6 ადამიანი არანაირ ბრალეულობაში არ არიან და არც მიზეზობრივ კავშირში მომხდართან. გუკა ამირხანაშვილი მათ იმიტომ ჩაისვეს, რომ დახმარებოდნენ.“ – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

ქართული მარწყვი და მოცვი - ამერიკაში

ქართული მარწყვი და მოცვი აშშ-ში ექსპორტზე გავიდა.

„შპს „გლენბერი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი საწარმოა, რომელიც ქართული პროდუქციის ექსპორტს რამდენიმე ქვეყანაში ახორციელებს. შოკური მეთოდით დამუშავებული 20 ტონა მარწყვისა და მოცვის ექსპორტი კომპანიამ ამჯერად აშშ-ში განახორციელა“, – ნათქვამია ერთიანი აგროპროექტის ინფორმაციაში.

შპს „გლენბერში“ წარმოების პროცესის გასაცნობად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი შიდა ქართლის მხარის რწმუნებულთან გიორგი ხოჯევანიშვილთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან ილია თამარაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

გიორგი ხოჯევანიშვილის განცხადებით, რეგიონის ეკონომიკური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი საწარმოების არსებობა.

2018 წლიდან ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცაში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრო მეურნეობა შპს „გლენბერი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, ხუთ მლნ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600, 000 ლარი გრანტია, ხოლო დანარჩენი თანხა ბენეფიციარის ინვესტიცია. სამაცივრო კომპლექსში წელიწადში 1,200 ტონა სხვადასხვა ხილ-ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი. გარდა ამისა, სამაცივრო კომპლექსს გადამმუშავებელი ინფრასტრუქტურა აქვს, სადაც, უნიკალური შოკური გაყინვის მეთოდის გამოყენებით, 24 საათში 10 ტონა ხილ-ბოსტნეულის გადამუშავებაა შესაძლებელი. შპს „გლენბერში“ 150 ადგილობრივია დასაქმებული. კომპანიაში დანერგილია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი – ISO 22 000. მიმდინარე წელს კომპანიის მფლობელებმა ხუთ ჰა-ზე ბროკოლის და 11 ჰა-ზე მარწყვის პლანტაციაც გააშენეს. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის“.

2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 200-ზე მეტი ახალი საწარმო დაფინანსდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თვის ბოლოს დელფინარიუმი გაიხსნება

30 ივნისიდან ბათუმის დელფინარიუმი მუშაობას განაახლებს. დელფინების შოუს მიმდინარეობისას, მაყურებლების ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით დაცული იქნება ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა შემუშავებული. მაყურებელთა შორის დაცული იქნება სოციალური დისტანცია და შოუზე დასასწრები ბილეთები ადგილების გამოტოვებით გაიყიდება. ბათუმის დელფინარიუმის ადმინისტრაცია მოუწოდებს ვიზიტორებს, დელფინარიუმსა და აკვაროუმში განთავსებული საინფორმაციო დაფებით იხელმძღვანელონ. შოუ ნებისმიერ ამინდში გაიმართება. დამატებითი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია დელფინარიუმის ვებგვერდზე.

2 ძვირფასი ქვა და... მილიონერი



ტანზანიაში ერთ-ერთი მცირე შახტის მფლობელი მილიონერი გახდა, მას შემდეგ, რაც 2 უიშვიათესი ძვირფასი ქვა აღმოაჩინა.

სანინიუ ლაიზერმა 2 ტანზანიტი იპოვა, რომელთა საერთო წონაც 15 კილოგრამია. აქამდე, ყველაზე დიდ ტანზანიტად 3.3 კილოგრამის წონის ქვა ითვლებოდა, ლაიზერის მიერ აღმოჩენილი მინერალების წონა კი 9.2 და 5.8 კილოგრამია. მან ქვები ქვეყნის მინერალების სამინისტროს მიჰყიდა და უწყებისგან 3.4 მილიონი დოლარი მიიღო.

52 წლის ლაიზერი, რომელსაც 4 ცოლი და 30-ზე მეტი შვილი ჰყავს მიღებული თანხით თავისი სახლის მახლობლად სკოლის და სავაჭრო ცენტრის აშენებას გეგმავს.

ტანზანიტი მსოფლიოს ერთ-ერთი უიშვიათესი ძვირფასი ქვაა, ის მხოლოდ ტანზანიაში მოიპოვება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 20 წელიწადში მისი მარაგი პლანეტაზე სრულად ამოიწურება.

„ინსტაგრამის“ საშუალებით ბავშვებს ყიდდნენ

ირანში სამი მამაკაცი დააკავეს, რომლებიც „ინსტაგრამის“ საშუალებით ბავშვებს ყიდდნენ.

თეირანის პოლიციის უფროსის ჰოსეინ რაჰიმის განცხადებით, ეჭვმიტანილების დაკავება იმ დროს მოხდა, როდესაც ორი ბავშვის გაყიდვას ცდილობდნენ. ერთი ბავშვი 20 დღის იყო, მეორე კი, ორი თვის.

ეჭვმიტანილებმა ბავშვები ერთხელ უკვე გაყიდეს 500 დოლარად და ახლა ადგილი ჰქონდა ახალშობილთა ხელმეორედ, 2 000 დოლარად გაყიდვის ფაქტს. ერთ-ერთმა დაკავებულმა თქვა, რომ ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან მოჰყავდა და იმ ოჯახებს გადასცემდა, რომლებსაც მათთვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა შეეძლოთ.

თეირანის პოლიციამ სოციალურ სივრცეში ბავშვთა ტრეფიკინგის დახმარებისთვის ათი ვებგვერდი აღმოაჩინა.

ქართველმა მეთევზემ გიგანტური ლოქო დაიჭირა

ქართველმა მეთევზემ გიგანტური ლოქო დაიჭირა, ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. არსებული ინფორმაციით, ლოქო მდინარე ჭოროხში დაიჭირეს და მისი წონა 130 კილოგრამამდეა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB760153602010000 9.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.0556; ევრო - 3.4528;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8278;
100 რუბლი - 4.4222; თურქული ლირა - 0.4456;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7974;
1000 სომხური დრამი - 6.3608.

ამინდი 26 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge